# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 30 ნოემბერი 2006 №277 (2899) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## ძველი ტურები და ახალი კონტურები

დუშან უჰრინს ქულები და ხალხი ეცოტავება

3

# ფიფა დიდ ბიჭზეა ფეხმძიმე

## ჩვენ კი ჯერ გამოცანა გვერგება

რონალდინიო, ფაბიო კანავარო და ზინედინ ზიდანი — აი, სამეული, რომელიც ფიფას წევრი ქვეყნების ნაკრებთა მწვრთნელებმა და კაპიტნებმა 30-კაციანი სიიდან გამოარჩიეს. და რომელია მათ შორის უმეტესი? რომელი მათგანი გახდება მსოფლიოს 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელი? ამას დედამიწის მოსახლეობა 18 დეკემბერს ციურიხის ოპერაში, გალა ცერემონიალიდან შეიტყობს. მანამდე კი ვიდავოთ: 1998, 2002 თუ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი?... ქალთა სამეულში კი პირველად ვერ მოხვდა ბოლო სამი წლის გამარჯვებული ბირგიტ პრინცი. თავად სამეული კი ასეთია: ამერკელი კრისტინ ლილი, გერმანელი რენატ ლინგორი და ბრაზილიელი მარტა.









## ლეონარდოს სამეცნიერო ნაშრომი: ახლანდელი იტალიის ბაჯო კანავაროა

7

# EXCLUSIVE

## ხვალინდელ სარბიელში თუგაი:



...შოთას თურქეთში თამაში კარგად მახსოვს და ისიც ვიცი, სადაც კი წავიდა, ყველგან უმაღლეს დონეზე რომ ითამაშა. ის მეგოლეედაა დაბადებული, გარდა ამისა, ასეთი მანერით მოთამაშე ცენტრფორვარდი ძალიან იშვიათია. შოთა ნებისმიერი რანგის გუნდს მოუხდებოდა...

ზურა ხიზანიშვილი ქართველია — საქართველო კი თურქეთის მეზობელი და მეგობარი ერია. ჩვენი მეუღლეებიც ისეთივე ახლო მეგობრები არიან, როგორც მე და ზურა ვართ. ხშირად დავდივართ რესტორანში და ერთმანეთთან სახლში...

...მხოლოდ სამი ქართველი ფეხბურთელის თამაში მინახავს — შოთა, არჩილი და ზურა — მათგან ვერავის გამოვარჩევ, რადგან რომელიმეს ეწყინება...




კახა კალაძემ (მარცხნივ) ფიფას სამეულში თანაკლუბელი კაკაც (შუაში) შეიყვანა

# კალაძე ბრაზილიაზე დადგა

## ნაკრების კაპიტანმა ფიფას საუკეთესოები უთხრა

სამი კვირის წინ, საქართველო — ურუგვაის ამხანაგურ მატჩამდე დაშავებული კახა კალაძე გამოჯანმრთელდა და გუშინწინ იტალიის თასის მერვედფინალში ერთი ტაიმიც ითამაშა. მისმა „მილანმა“ სტუმრად „ბრეშას“ 2:1 სძლია. მომდევნო მატჩს სერია A-ში ჩვენიანი, როგორც თავად გვითხრა, ალბათ, სრულად ითამაშებს, იქამდე კი, როგორც საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერთან ერთად, ფიფას უკვე გაუგზავნა წლის საუკეთესო ფეხბურთელთა თავისი ვარიანტი.

ფიფა ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებისა და კაპიტნების გამოკითხვით ყოველწლიურ გალა-წარმოდგენაზე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს რომ ასახელებს, ეს ალბათ იცით....

კახა კალაძეს კი თავისი სამეული ორი კვირის წინ გაუმზადებია...

— რონალდინიო, კაკა, კანავარო — ასეთია წლის საუკეთესო ფეხბურთელთა ჩემეული ვარიანტი. არ ვიცი, კლაუს ტოპმიოლერმა რომელი ფეხბურთელები ჩამოწერა, ჩემი აზრით კი, რონალდინიო, როგორც შარშან, წლეულსაც საუკეთესო იყო.

— კი მაგრამ, მან მსოფლიოს ჩემპიონატი აშკარად ჩააგდო...

— მხოლოდ რონალდინიოს კი არა, მთელ ბრაზილიას ჩაუვარდა მსოფლიოს ჩემპიონატი, თუმცა რონალდინიო სხვა ტურნირებში ისე თამაშობს, ვერავინ შეედრება. კაკაც ბრაზილიელია და მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატით თუ ვიმსჯელებთ, არც ის და არც სხვა ბრაზილიელი არ უნდა დაასახელო საუკეთესოთა შორის, მაგრამ კაკას შემთხვევაშიც იმავეს ვიტყვი, რასაც რონალდინიოზე — სხვა ტურნირებში ის უმაღლეს დონეზე თამაშობს.

— ამასობაში კი „ფრანს ფუტბოლმა“ თავისი გამოკითხვით ევროპის საუკეთესოდ კანავარო დაასახელა...

— კანავარო რომ უძლიერესი მცველია, „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვამაც დაადასტურა. მან მართლაც ძალიან მაგრად ითამაშა წლეულს, მაგრამ კანავაროს მაინც რონალდინიო და კაკა ვამჯობინე.

— გჯერა, რომ საუკეთესოთა სამეულს ფიფაც ასეთი თანმიმდევრობით გამოაცხადებს?

— ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის წლეულს პირველი რონალდინიოა, მერე კაკა და შემდეგ კანავარო.

**კობა ინასარიძე**

# რუსებმა მუჯირს ახლოდან შეხედეს

**გაზეთ** „სოვეტსკი სპორტის“ ვერსიით, სამარის „კრილია სოვეტოვის“ ქართველი ნახევარმცველი დავით მუჯირი ახლო საზღვარგარეთიდან პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მუჯირმა რუსულ პრემიერლიგაში 18 მატჩი ჩაატარა, საკმაოდ დიდი ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, ერთ-ერთ ნომინაციაში გაემარჯვა.



საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა საშუალო შეფასებათა 5,88 ქულა დააგროვა და კონკურენტებს საკმაო უპირატესობით აჯობა.

შეგახსენებთ, რომ მუჯირი ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა ბოლომდე — ახლა გერმანიაშია და იქაურ ექიმებთან მკურნალობს.

**კახა შალამბერიძე**

# ვან გაალმა შოთა რაიკარდს შეადარა

უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა წერილი ჰოლანდიური „ალკმაარის“ კაპიტან შოთა არველაძეზე, რასაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ...

აგერ უკვე მესამე სეზონია, „ალკმაარი“ უეფას თასზე საკმაოდ წარმატებით თამაშობს. მიმდინარე სეზონის ჯგუფურ ეტაპზე ლუის ვან გაალის გუნდმა უკვე ორი შეხვედრა ჩაატარა, ექვსი ქულა მოიპოვა და 8 გოლი გაიტანა. თუ „ალკმაარი“ ჩეხეთის „ლიბერეცთან“ საშინაო შეხვედრაში არ დამარცხდა, მომდევნო ეტაპზე გავა.




უეფას თასის პირველ ეტაპზე შოთა არველაძემ თურქეთის „ქაისერისფორის“ კარი დალაშქრა, რასაც მომდევნო ორ შეხვედრაშიც მიაყოლა გოლები და ერთხელაც დაამტკიცა, რომ ძალიან ფასეული ფეხბურთელია ვან გაალისთვის.

შესაძლებელი იყო, ლუის ვან გაალისა და შოთა არველაძის გზები წლების წინაც გადაკვეთილიყო, მაგრამ 1997 წლის ზაფხულში, როცა ქართველი თავდამსხმელი თურქეთის „ტრაბზონსფორიდან“ ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდა, „აიაქსიდან“ წასული ვან გაალი „ბარსელონას“ ჩაუდგა სათავეში.

2005 წლის ზაფხულში ისინი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს: ლუის ვან გაალმა „ალკმაარი“ ჩაიბარა, არველაძემ კი ჰოლანდიას შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსიდან“ მიაშურა. წინა სეზონში ქართველმა ფორვარდმა ჰოლანდიის ჩემპიონატში ჩატარებულ 31 შეხვედრაში 22 გოლი გაიტანა და კლუბს ვიცე-ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა. ამის შემდეგ გუნდმა მასთან ხელშეკრულება ერთი წლით გაახანგრძლივა — 2008 წლის ზაფხულამდე.

„შოთას სურს, რომ „ალკმაარში“ დარჩეს და ამ კლუბთან ერთად მიაღწიოს წარმატებას. ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ფასდაუდებელია არველაძესთან თამაში“ — აცხადებს „ალკმაარის“ ტექნიკური დირექტორი მარსელ ბრანდსი.

ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არველაძეს კაპიტნის სამკლავური ჩააბარეს — „ალკმაარის“ კაპიტანმა დენი ლანძაატმა და ვიცე-კაპიტანმა იორის მატიისენმა გასული სეზონის ბოლოს კლუბი დატოვეს და, შესაბამისად, ინგლისის „უიგანსა“ და გერმანულ „ჰამბურგში“ გადაინაცვლეს. ამის შემდეგ არველაძე გუნდისთავად მოგვევლინა, ლუის ვან გაალი კი წამითაც არ დაეჭვებულა არჩევანში.

— „აიაქსში“ ადრე მოთამაშე დანი ბლინდთან და ფრანკ რაიკარდთან სავსებით შესაძლებელია არველაძის შედარება. არველაძე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც მოთამაშე, არამედ, როგორც კაპიტანი და პიროვნება. ის უმაღლესი დონის პროფესიონალია“ — ამბობს ვან გაალი.

დღესდღეობით „ალკმაარი“ 4-4-2 სქემით თამაშობს, თავდასხმაში კი შოთა არველაძის მხარდამხარ ხან მუსა დემბელე, ხან კი დანი კუვერმანსი არიან გამწესებულნი. ჰოლანდიის ჩემპიონატის 13 ტურში შოთა არველაძემ 7 გოლი გაიტანა და 6 საგოლე გადაცემა გააკეთა.

„ვფიქრობ, შოთა არველაძე „ალკმაარის“ კაპიტნის რანგში უფრო დიდი ავტორიტეტია, ვიდრე დანი ბლინდი იყო ამსტერდამის „აიაქსში“ — ესეც ვან გაალის სიტყვებია.

**ბრენდ სხოლტენი**
**UEFA.COM**

# ნაში გრუზინი და...

## აზერბაიჯანმა ტოპის საქმე იცის

**საინტერესო** და, ცოტა არ იყოს, უცნაურ ცნობას მივაგენით ერთ-ერთ აზერბაიჯანულ ვებგვერდზე — ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ორი ქართველ ლეგიონერს, სავარაუდოდ, თებერვალში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოიძახებენო. ლაპარაკია „ბაკის“ ნახევარმცველ ალექსანდრე გოგობერიშვილზე და „ნეფთჩის“ ფორვარდ გიორგი ადამიაზე.

„ამასწინათ საქართველოს ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერსა და ქართული კლუბების წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა, სადაც ბევრ საკითხზე იმსჯელეს. ტოპმიოლერს ადამიას და გოგობერიშვილის გვარები უთხრეს, ასე რომ, დიდი შანსია, ისინი საქართველოს ნაკრების უახლოეს ამხანაგურ მატჩში გამოიძახონ, რაც აზერბაიჯანის ჩემპიონატის პრესტიჟსაც აამაღლებს“ — წერს აზერბაიჯანული ვებგვერდი.

ჩვენი მეზობლები იმასაც ამბობენ, გოგობერიშვილი და ადამია აზერბაიჯანში გამორჩეულნი, ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელები არიანო და მათ „ნაში გრუზინი“ უწოდეს.

**ილია ნანობაშვილი**

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XV ტური**

ასტონ ვილა 1:3 [illegible]
ფულემი 2:1 არსენალი
ბოლტონი 0:1 ჩელსი
ლივერპული 0:0 პორტსმუთი
მანჩესტერი 3:0 ევერტონი

**ჩემპიონატი. XX ტური**

დერბი 2:1 იფსვიჩი
საუთჰემპტონი 4:3 ბირმინგემი

**LDV VANS TROPHY. III ეტაპი**

პორტ ვეილი 2:3 *ძრიუ*
*ჩესტერფილდი* 3:3პ.ნ. (4:4) ჩესტერი
*როვერსი* 1:0 პიტერბრო
ნოტინგემი 2:4პ.ნ. (2:2) *ბრისტოლი*

## ჰოლანდია

**ერედივიზიონი**

**გადადებული მატჩი**

ვიტესი 1:3 ჰერენვენი

## იტალია

**თასის მერვედფინალი**

**საპასუხო მატჩები**

*რომა* 2:0 ტრიესტინა (2:1)
*ინტერი* 4:0 მესინა (1:0)

## ხორვატია

**თასის მეოთხედფინალი**

**საპასუხო მატჩი**

კონავლიანინი 2:1 *რიეკა* (1:3)

## უნგრეთი

**თასის მერვედფინალი**

**საპასუხო მატჩები**

*მტკ* 5:0 დიორი (3:1)
*უიპეშტი* 4:2 ლომბარდ პაპა (2:0)

## უეფას თასი 2006-2007

**ჯგუფური ეტაპი. IV ტური**

**A ჯგუფი**

ლივორნო 1:1 მაკაბი

1:0 ლუკარელი (20), 1:1 კოლაუტი (90)

პარტიზანი 1:4 ოსერი

1:0 მარინკოვიჩი (5), 1:1 ჩეიროუ (18), 1:2 ნიკულაე (24), 1:3 აკალე (36), 1:4 პიერონი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| მაკაბი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ოსერი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| ლივორნო | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| პარტიზანი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |

**V ტური. 14 დეკემბერი**

რეინჯერსი — პარტიზანი
ოსერი — ლივორნო

**B ჯგუფი**

ბეშიქთაში 2:1 ბრიუგე

0:1 ბალაბანი (14პ), 1:1 აკინი (32), 2:1 რიკარდინიო (70პ)

დინამო 2:1 ლევერკუზენი

0:1 ბარბარეზი (22), 1:1, 2:1 ნიკულესკუ (37, 74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოტენჰემი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| დინამო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ბრიუგე | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| ლევერკუზენი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

**V ტური. 14 დეკემბერი**

ტოტენჰემი — დინამო
ლევერკუზენი — ბეშიქთაში

**C ჯგუფი**

ალკმაარი 2:2 ლიბერეცი

0:1 ზაპოტოჩნი (26), 1:1 შტეინსონი (69), 1:2 პაპოუსეკი (85), 2:2 ჯენერი (89)

გრასჰოპერი 0:4 სევილია

0:1, 0:2 ალვეში (12, 53), 0:3 ჩევანტონი (62), 0:4 კება (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:4 | 7 |
| სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 7 |
| ლიბერეცი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| ბრაგა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| გრასჰოპერი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:13 | 0 |

**V ტური. 14 დეკემბერი**

ბრაგა — გრასჰოპერი
სევილია — ალკმაარი

**D ჯგუფი**

ლანსი 1:2 პარმა

1:0 კუზინი (19), 1:1 დედიჩი (77), 1:2 ბაპონი (90)

ოსასუნა 3:1 ოდენსე

1:0, 2:0 პუნალი (28, 67), 2:1 პუნალი (73ს.კ.) 3:1 რომეო (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარმა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| ლანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ოსასუნა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ოდენსე | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ჰერენვენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

**V ტური. 14 დეკემბერი**

პარმა — ოსასუნა
ჰერენვენი — ლანსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველი ტურები და ახალი კონტურები

ერთი სათასო ტურიც და, ქართული საფეხბურთო სეზონის ნახევარი გასრულდება. გასრულდება თბილისის „დინამოს“ ჩეხი მწვრთნელის დუშან უჰრინის ქართული კარიერის პირველი ეტაპიც — სახელოვანი ჩეხი უკვე სამი თვეა, „დინამოს“ თავკაცობს. „დინამო“ კი, როგორც ყოველთვის, ახლაც ჩემპიონობისა და თასის მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. მით უმეტეს, უფრო რეალური იქნება ეს შანსები მაშინ, თბილისელები საგაზაფხულოდ ოთხი-ხუთი გამოცდილი ფეხბურთელით თუ გაძლიერდებიან. არადა, „დინამო“ ამას რომ აპირებს, მწვრთნელმა გუშინ თავადაც გვითხრა. როგორ აფასებს პირველი წრის შემდეგ გუნდის შედეგს დუშან უჰრინი, რამ გააკვირვა და რა ესიამოვნა ამ სამი თვის განმავლობაში ჩეხ მწვრთნელს, რომელი იყო „დინამოს“ საუკეთესო მატჩი სექტემბრიდან დეკემბრამდე? დუშან უჰრინი, რომელიც თბილისში უკვე მეუღლესთან ერთად ცხოვრობს, გვპასუხობს...



— როგორ შეეგუა თქვენი მეუღლე საქართველოს?

— მშვენივრად. ის უკვე სამი კვირაა, თბილისშია და თავს კარგად გრძნობს. საერთოდ, სადაც კი მიმუშავია და უცხოეთში ვყოფილვარ, მეუღლე მუდამ ჩემ გვერდითაა. ის საქმეს მიადვილებს, სტიმულს მაძლევს.

— იმედია, საქართველოშიც ასე იქნება. ახლა კი თქვენს საქმეზე — „დინამოს“ საპირველწრეო შედეგით კმაყოფილი ხართ?

— რასაკვირველია არა, მეხუთე ადგილით კმაყოფილი ვერ ვიქნები. რაც შეეხება კონკრეტულ მატჩებს, ძალიან სუსტად ვითამაშეთ ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიასთან“ და თასზე „ოლიმპთან“ მეორე შეხვედრაში. მაგრამ წინ მეორე წრეა და ხუთქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა შესაძლებელია. მეორე წრემდე კი საკმაო დროა, რომელსაც, იმედია, ნაყოფიერად გამოვიყენებთ.

— ფიქრობთ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით „დინამოს“ უფრო ხარისხიანი ფეხბურთის თამაში შეეძლო?

— დიახ, შეეძლო და ეს ნათლად გამოჩნდა ჩემპიონატის ლიდერ „ოლიმპთან“ თასზე ჩატარებულ პირველ შეხვედრაში, რომელიც 3:0 მოვიგეთ. თუნდაც იმავ „ოლიმპთან“ ჩემპიონატში მოგებული მატჩის პირველ ნახევარშიც „დინამოს“ თამაშში გამოჩნდა ის კონტურები, რისკენაც მივისწრაფით, ბუნებრივია, კარგ შედეგთან ერთად.

— ზოგადად, საქართველოს ჩემპიონატის დონეს როგორ შეაფასებთ?

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ ინფრასტრუქტურა მოიკოჭლებს, სუფთა საფეხბურთო თვალსაზრისით კი, გუნდები ნაკლებდინამიურად თამაშობენ. ალბათ ჩეხეთისა და საქართველოს ჩემპიონატებს შორის უმთავრესი სხვაობაც ეს არის.

— უკვე სამი თვეა, ქართულ ფეხბურთში ხართ. ყველაფერი ისეა, რასაც ელოდით?

— ჩემთვის ძალიან უსიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ სტადიონებზე გულშემატკივრების სიმცირე, ეს ძალიან მოქმედებს ფეხბურთელების მოტივაციაზე. ძნელია, ცარიელი ტრიბუნების წინ ფეხბურთელებმა თავდაუზოგავად ითამაშონ. ისე კი, სასიამოვნო მოულოდნელობა „დინამოს“ ბაზა გახლდათ, სადაც პრაქტიკულად ყველა პირობაა შექმნილი ფეხბურთელებისთვის.

## დუშან უჰრინს ქულები და ხალხი ელოდება

— მოსამზადებელ პერიოდში „დინამო“ მნიშვნელოვნად გადახალისდება?

— „დინამო“ ახალგაზრდული გუნდია და აუცილებლად საჭიროებს გაძლიერებას. ჩვენ, სულ ცოტა, ოთხი-ხუთი გამოცდილი ფეხბურთელი გვჭირდება. ვიმედოვნებ, რომ ზამთრის არდადეგებზე მოვახერხებთ ჩვენთვის საჭირო ფეხბურთელების დამატებას. მათ ვინაობას ჯერ ვერ დავაკონკრეტებ. ამ საკითხზე კლუბში ინტენსიურად ვმუშაობთ.

— ითქვა, „დინამო“ მეორე წრისთვის ჩეხი ფეხბურთელების დამატებას აპირებსო. მართალია?

— როგორც გითხარით, გაძლიერებას მართლაც ვაპირებთ, ახალ ფეხბურთელებს შორის კი ჩეხები, სავარაუდოდ, არ იქნებიან.

— საქართველოს ჩემპიონატში თუა ისეთი ფეხბურთელი, რომლის დამატებასაც ისურვებდით?

— სიამოვნებით დავიმატებდი „ბათუმის“ კაპიტან ამირან მუჯირს, მაგრამ, როგორც ვიცი, ის უცხოეთში აპირებს თამაშის გაგრძელებას.

— „დინამოში“ გყავთ ისეთი ფეხბურთელი, ვისზეც შეგიძლიათ თქვათ, რომ უკვე გუნდის ლიდერია?

— მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილი ფეხბურთელების მოწვევას ვაპირებთ, ჩვენ აქცენტს მაინც ახალგაზრდებზე ვაკეთებთ, ჩვენ გუნდში ახლაც საკმაოდ არიან პერსპექტიული ახალგაზრდები.

— კონკრეტულად რომელი ფეხბურთელზე ფიქრობთ, რომ ლიდერის თვისებები აქვს?

— ასეთი რამდენიმეა, მაგრამ არ მინდა, რომელიმე გამოვარჩიო.

— პირველი წრე უკვე დამთავრდა. გაზაფხულისთვის გუნდი როგორ და სად მოემზადება?

— იანვარ-თებერვალში რამდენიმე შეკრებას ვგეგმავთ — ბაკურიანში და თურქეთში, კერძოდ, ანთალიაში მოვემზადებით.

— მოსამზადებელი პერიოდის დაწყებამდე თბილისში იქნებით?

— 2 დეკემბერს თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი გვაქვს „ჩიხურასთან“. ამის შემდეგ ათი დღე „დინამო“ ვარჯიშს გააგრძელებს, მერე კი შვებულების დროც მოვა. საშობაოდ ჩეხეთში, შინ ვიქნები, გუნდი კი ნაახალწლევს შეიკრიბება.

**კობა ინასარიძე**

# კახელიშვილი აღმართს შეუყვა



ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად „სარბიელმა“ რუსთავის „ოლიმპის“ გარემარბი გიორგი კახელიშვილი დაასახელა. 19 წლის ფეხბურთელი რუსთაველთა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. სისწრაფისა და ტექნიკის წყალობით კახელიშვილი მეტოქეებს დიდ პრობლემებს უქმნის და არც საგოლე ალღო ღალატობს — ამ სეზონში ოთხი გოლი შეაგდო, ამათში ერთი ბოლო, მეცამეტე ტურში ქუთაისის „ტორპედოსთან“ ერთადერთი და უმნიშვნელოვანესი გამოდგა — „ოლიმპი“ „შემოდგომის ჩემპიონი“ გახდა...

## საშემოდგომო გოლის ავტორი სანაკრებოდ უიმედოა

— დიდი მადლობა „სარბიელს“, ამდენ პერსპექტიულ ახალგაზრდაში რომ გამომარჩია. სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. არც იმას ველოდი, პირველი წრის შემდეგ ვინმე ასეთ გამოკითხვას თუ ჩაატარებდა. ეს დამატებით სტიმულს შემმატებს.

— პირველი წრით კმაყოფილი ხარ?

— ასაკიდან გამომდინარე, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი მაქვს. მთლიანობაში კმაყოფილი კი ვარ, თუმც ვცდილობ, შეძლებისდაგვარად მოვუმატო, რაც დიდი გუნდებისკენ გამიხსნის გზას — ეს ხომ ყველა ფეხბურთელის ოცნებაა.

— წასვლაზე უკვე ფიქრობ?

— ჯერჯერობით, არა. სეზონის ბოლომდე „ოლიმპს“ ვეკუთვნი, თუმცა, თუ რაიმე რეალური წინადადება გამოჩნდა, არა მგონია, ხელი შემიშალონ.

— პირველი წრის შემდეგ „ოლიმპი“ ჩემპიონატის ლიდერია. რა არის თქვენი წარმატების მთავარი მიზეზი?

— ძალიან ახალგაზრდული და მებრძოლი გუნდი გვყავს. ცხადია, მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავდივართ, თუმცა მარტო სამი ქულა არ არის ჩვენი მიზანი — გვსურს, მაყურებელს კარგი თამაშით დავამახსოვროთ თავი.

— შარშან უფრო ხშირად ცენტრფორვარდი იყავი, წლეულს კი მარჯვენა გარემარბად გიწევს თამაში. სად უფრო კარგად გრძნობ თავს?

— „ლოკომოტივში“ ძირითადად მარცხნიდან და ცენტრიდან ვუტევდი. გიორგი კიკნაძე ახლა მარჯვენა ფლანგზე კი მათამაშებს, მაგრამ ფლანგების ხშირ ცვლასაც მთხოვს. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, სად ვითამაშებ. მთავარია, მწვრთნელის დავალება შევასრულო და გუნდს სარგებელი მოვუტანო.

— ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყავი, მაგრამ ბოლო დროს ნაკრებში აღარ ჩანხარ...

— ნაკრებში რამდენიმე შეხვედრა ჩავატარე და, ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია. ბოლო დროს რატომღაც აღარავის გავხსენებივარ და სიმართლე გითხრათ, იმედიც არ მაქვს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ გინება — არგინაბაზე ნუ იგინებით!





## სერგო კოტრიკაძე: ყურში კარგად მესმის

**რა მოხდა** „ვიტ ჯორჯია" — „ამერის" შეხვედრისას? საქართველოში ხომ უკვე ტრადიციასავით ჩამოყალიბდა, რომ ლიდერთა ჯგუფის გუნდების თამაშისას რაღაც უნდა მოხდეს. გუშინაც ვწერდით, რომ მცირე ხანში, უკვე მეორედ მსაჯმა „ამერის" გულშემატკივარს შეაგინა.

ამ შეხვედრის დამკვირვებელი *სერგო კოტრიკაძე* გახლდათ, რომელიც ასეთ ამბავს გვიყვება:

— მატჩის შემდეგ სამსაჯო ოთახში შესული გარეთ გამომიძახეს, სადაც „ამერის" გენერალური მენეჯერი ვახტანგ ბზიკაძე დამხვდა. მკითხა, გაიგე, მთავარმა მსაჯმა რომ შეიგინაო? მე ავუხსენი, მთავარ მსაჯს არ შეუგინია. დამკვირვებელი ვიყავი, ვიცოდი, რომ დაძაბული თამაში იქნებოდა და მეოთხე მსაჯის გვერდით ვიჯექი, საიდანაც სიტუაციას ვაკვირდებოდი-მეთქი.

...და ამ დროს ბზიკაძე მეუბნება, თუ შეგინება არ გაგიგია, ყურში ცუდად გესმის და ეგააო. იმდენი თავმოყვარეობა მაქვს, აურზაური არ ამეტეხა. გავშორდი. მერე, მსაჯები რომ ოთახიდან გამოვიდნენ, ბზიკაძე გვერდით მსაჯ ლევან მიქელაძეს მიადგა, შენ შეიგინეო. მიქელაძე უარყოფდა და ცოტა უსიამოვნო ლაპარაკიც გაიმართა. მე ბზიკაძეს ვუთხარი, წეღან მთავარ მსაჯზე ამბობდი, ახლა კი გვერდითზე, რომელი დავიჯერო-მეთქი.

...ყურში მშვენივრად მესმის. გარდა ამისა, მეოთხე მსაჯიც უარყოფს გინებას. წეღან „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელ ნესტორ მუმლაძესაც შევეკითხე, გაიგონე თუ არა მიქელაძის გინება-მეთქი და არაო, მიპასუხა.

...არ არსებობს გინების დამადასტურებელი ფაქტი. თუ „ამერი" წარმოადგენს ვიდეოფირს ან რაიმე დამადასტურებელ საშუალებას, ეს სხვა ამბავია.

...მსაჯობაზეც ვიტყვი. მგონი, პირველი წრის ყველაზე საინტერესო თამაში იყო და კარგია, რომ მსაჯებმა ფეხბურთელებს ბრძოლის საშუალება მისცეს. საერთოდ, ყველაფრის თემიდელებზე გადაბრალება მართებული არ არის.

...და კიდევ, თამაშის დასრულების შემდეგ ვიტჯორჯიელ დავით დიღმელაშვილს რომ მოვეფერე და გამარჯვება მივულოცე, ამაში რა არის ცუდი? დიღმელაშვილს ვიცნობ, ჩემ ხელში გაიზარდა. მას ისიც ვუთხარი, გუნდის კაპიტანი ხარ, დაძაბული თამაშია და გუნდი დაამშვიდე-მეთქი.

*ძალიან დამაფიქრებელია, სად მივყავართ იმ ყოველივეს, რაც მცხეთაში მოხდა. გუშინაც ვივარაუდეთ, მსაჯმა „ამერის" ქომაგს უკვე მეორედ შეაგინა და ეს მიზანმიმართული „აქცია" ხომ არ არისო... სერგო კოტრიკაძესთან საუბარში მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების თავმჯდომარე* ***ამირან კაჭახიძეც*** *ჩაგვერთო და, რა თქმა უნდა, „ამერის" ჩაძირვის მცდელობა უარყო...*

— საკმაო სიმპათიები მაქვს „ამერის" მიმართ. ვიცი ამ კლუბის სტრატეგია, მუხლჩაუხრელად მუშაობენ, დალაგებულად აკეთებენ საქმეს და არ მესმის მიზეზი, რატომ უნდა მოვინდომოთ „ამერისთვის" ცუდი. მსაჯი დაუცველი არ უნდა იყოს. მათი საშუალო ხელფასი ისედაც 200-300 ლარია, გზის ფულსაც თავად იხდიან და კიდევ ამდენ შეურაცხყოფას ითმენენ.

**ილია ნანოგაშვილი**

## ხვალ ცხადაძე სკამს დაუბრუნდება

**„ფოლკსვაგენის თასის"** გათამაშების მეტოქე გუნდების მწვრთნელები, კახა ცხადაძე და გიორგი ჩიხრაძე დღეს „მიხეილ მესხზე" პრესკონფერენციას გამართავენ.

მოგეხსენებათ, საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონის" მწვრთნელი კახა ცხადაძე, სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, სეზონის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული და ჩემპიონატისა და დავით ყიფიანის თასის „ყაზბეგის" გათამაშებისას თავის საქმეს სრულფასოვნად ვერ აკეთებს, თუმცა ახალი ამბავი ისაა, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით, ყველა სასჯელი „ფოლკსვაგენის თასის" მატჩისთვის გაუქმებული იქნება.

ცხადაძის დარად, ხვალინდელ შეხვედრაში მონაწილეობის უფლება იმ ფეხბურთელებსაც ექნებათ, რომლებსაც ჩემპიონატში თუ თასის გათამაშებისას მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების გამო, მომდევნო შეხვედრა უნდა გამოეტოვებინათ.

მოკლედ, მწვრთნელ-ფეხბურთელებს დისკვალიფიკაცია „ფოლკსვაგენის თასზე" აღარ გადაჰყვებათ.

და ერთიც, ხვალინდელ შეხვედრაში ბოლო იმედის ჯარიმისთვის ანაც ორი ყვითელი ბარათით გაძევებულ ფეხბურთელს მომდევნო შეხვედრაში თამაში მაინც შეეძლება. ხოლო არასპორტული საქციელისთვის გაძევებული ფეხბურთელის საკითხს, ჩვეულებრივ, სადისციპლინო კომიტეტი გაარჩევს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ კი იმ მსაჯების ვინაობა დაასახელა, რომლებიც „ფოლკსვაგენის თასის" შეხვედრას განსჯიან: დავით ხარიტონაშვილი (არბიტრი), მამუკა ელიკაშვილი, გურამ ჩიგოგიძე (ასისტენტები), მალხაზ მაისურაძე (მეოთხე მსაჯი). დამკვირვებელი რევაზ ტალიაშვილი იქნება.

**კობა ინასარიძე**

### წინა ექვსი სუპერთასი

1996 წელი
ბათუმი. 28 ივლისი
**ბათუმი 0:4 დინამო**

0:1 ა. იაშვილი (23), 0:2, 0:3 ყიზილაშვილი (52, 54), 0:4 ცქიტიშვილი (78)
ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე (ი. მახარაძე 71), ა. მუჯირი, ღლონტი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, დ. მახარაძე (ტრაპაიძე 54), ტულუში, უჯმაჯურიძე, მინდაძე
მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი
დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე (დიდავა 75), კუდინოვი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, კიკნაძე, ყიზილაშვილი, კერძევაძე, ანჩაბაძე (ინალიშვილი 72), ა. იაშვილი (ხომერიკი 71)
მწვრთნელი: დავით ყიფიანი
მსაჯი: ე. სილაგავა

1997 წელი
ქუთაისი. 4 აგვისტო
**დინამო 4:1 ბათუმი**

1:0 დ. მუჯირი (20), 2:0 გოგიჩაიშვილი (27პ), 3:0 კალაძე (55), 3:1 აფხაზავა (75პ), 4:1 ალექსიძე (85)
დინამო: ზოიძე, კალაძე, ზ. ჯელაძე (გუჩუა 46), დიდავა, ლობჟანიძე, გოგიჩაიშვილი (ალექსიძე 64), კიკნაძე, ცქიტიშვილი (გოგობერიშვილი 46), გ. ჩხაიძე (დავითნიძე 88), დ. მუჯირი (ხომერიკი 58), ა. იაშვილი (გ. კვარაცხელია 87)
მწვრთნელი: დავით ყიფიანი
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე (ფუტკარაძე 40), მინდაძე, ჭიჭვეიშვილი, ასპინძელაშვილი, სიჭინავა, მაქაცარია (აფხაზავა 46), ღლონტი, სოლოლაშვილი, კანტიძე, ჩუხუა (ყულეჯიშვილი 46)
მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი
მსაჯი: პ. დოგრაშვილი

1998 წელი
ბათუმი. 2 აგვისტო
**ბათუმი 2:1 დინამო**

1:0 მაჭუტაძე (38), 1:1 ცქიტიშვილი (79), 2:1 ტულუში (81)
ბათუმი: ტოგონიძე, გოგიტაძე, მინდაძე (აფხაზავა 44), სიჭინავა, კანტიძე (მაქაცარია 71), ვერემჩუკი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტულუში, გადელია (ღლონტი 31)
მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი
დინამო: სოლოლაშვილი, ი. მახარაძე, გუჩუა, გ. კვარაცხელია (სახვაძე 62), დ. მუჯირი (მელქაძე 66), აშვეთია, კიკნაძე, ალექსიძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ხომერიკი (გ. შენგელია 68)
მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა
მსაჯი: თ. ლაცაბიძე

1999 წელი
თბილისი. 29 თებერვალი
**დინამო 1:0 ტორპედო**

1:0 ნიტაიშვილი (16)
დინამო: გრიშიკაშვილი, შაშიაშვილი, ი. ვაშაკიძე, დიდავა, გუჩუა, სახვაძე (რუხაძე 89), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, დათვაძე (ანჩაბაძე 80), ნიტაიშვილი (ხუციშვილი 90), სიჭინავა
მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე
ტორპედო: ჭანტურია, მახვილაძე (ასათიანი 23), ხვადაგიანი, ი. მაღლაკელიძე (ბობოხიძე 76), ახვლედიანი, კ. კვეტენაძე, ამისულაშვილი, იმედაძე (დ. ჯანაშია 65), კ. ჩხეტიანი, იონანიძე, გ. მეგრელაძე
მწვრთნელი: დავით ყიფიანი
მსაჯი: კ. მესხი

2005 წელი
ბათუმი. 14 სექტემბერი
**დინამო 1:0 ლოკომოტივი**

1:0 ბობოხიძე (71)
დინამო: სტურუა, ალადაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, ლ. აკობია, ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი, ბაბუნაშვილი (ნავალოვსკი 87), მელქაძე (ს. იაშვილი 58), ბობოხიძე (გიგაური 82)
მწვრთნელი: კახა ცხადაძე
ლოკომოტივი: ჭანტურია, საჯაია, მახვილაძე, გ. ონიანი (დ. ფოფხაძე 75), რ. ონიანი, ინომოვი, სეთურიძე, ქებაძე, სირაძე, კახელიშვილი, რამონი (ალავერდაშვილი 59)
მწვრთნელი: ნოდარ აკობია
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი


ფოლკსვაგენის თასი



# ფიფას სამკაციანი ფაფა: კანავარო, რონალდინიო, ზიდანი







რა მოსდევს „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვას? ფიფას გამოკითხვა, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებს. ბევრჯერ თქმულა, რომ ამ გამოკითხვაში ფიფას წევრი ქვეყნების ნაკრებთა მწვრთნელები და კაპიტნები მონაწილეობენ. მისი შედეგების გამოქვეყნებამდე თვეზე ნაკლებია დარჩენილი.

განსხვავებით ფრანგული ჟურნალისგან, რომლის ლაურეატის ვინაობა დაჯილდოების ცერემონიალამდე კარგა ხნით ადრე მთელმა ქვეყანამ გაიგო და ამდენად დაჯილდოების დღეს ყოველგვარი მარილი დაკარგული ჰქონდა, ფიფა საიდუმლოს კარგად ინახავს და ისე იქცევა როგორც წესად აქვს დანერგილი — ოდნავ გვიწევს ფარდას. ერთი სიტყვით, მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ იმ 30 კაციდან და 20 ქალიდან, რომელთა სიაც რესპონდენტებს თავიდანვე დაურიგა, დაწინაურებული სამეულები დაგვისახელა, ხოლო მათგან პირველი რომელია, ამას დანიშნულ დღეს გვეტყვის.

მაშ ასე, კაცთაგან სამეულში მოხვდნენ ფაბიო კანავარო, რონალდინიო და ზინედინ ზიდანი, ხოლო ქალთა გამოკითხვაში ყურადსაღები სიახლეა, სამეულში ვერ მოხვდა ბირგიტ პრინცი, რომელიც ბოლო სამი წელიწადია, იმარჯვებს. ამჯერად მის ნაცვლად გერმანულ ქალთა ფეხბურთს 31 წლის შემტევი ნახევარმცველი რენატ ლინგორი წარმოადგენს, რომელმაც 2006 წელს ნაკრებშიც კარგად ითამაშა და კლუბშიც. მის გარდა სამეულშია ვეტერანი ამერიკელი ქალბატონი კრისტინ ლილი, რომელსაც ზურგს 20 წლიანი კარიერა უმაგრებს. მას ნაკრებში 317-ჯერ აქვს ნათამაშები და 116 გოლით შეუძლია იამაყოს. ამ 35 წლის ფეხბურთელმა ამერიკელ ქალთა ოქროს თაობასთან მია ჰემთან, ბრენდი ჩესტეინთან და ჯული ფუდისთან ერთად დაიწყო, მაგრამ ჩამოთვლილმა ვარსკვლავებმა უკვე დაანებეს ფეხბურთის თამაშს თავი, ლილი კი როგორც ხედავთ საუკეთესოთა სამეულშია. და მესამე გახლავთ ბრაზილიელი მარტა, რომელიც ასაკით ლილს შვილადაც შეეფერება. ის 20 წლისაა.

რატომ გაგვიგრძელდა სიტყვა ქალებზე? ალბათ იმიტომ, რომ კანავაროზე, რონალდინიოზე და ზიდანზე ისედაც ყველაფერი ნათელია. მოკლედ, რა ვთქვათ არ ვიცით.

გალა ცერემონიალი 18 დეკემბერს ციურიხის ოპერაშია დანიშნული.

**ბაჩუნა ძიძია**

## ფიფა: მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე 2006

| | | |
|---|---|---|
| ადრიანო | ინტერი | ბრაზილია |
| მიხაელ ბალაკი | ჩელსი | გერმანია |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი | იტალია |
| ფაბიო კანავარო | რეალი | იტალია |
| კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერი | პორტუგალია |
| პეტრ ჩეხი | ჩელსი | ჩეხეთი |
| დეკუ | ბარსელონა | პორტუგალია |
| დიდიე დროგბა | ჩელსი | კოტ დივუარი |
| მიკაელ ესიენი | ჩელსი | განა |
| სამუელ ეტოო | ბარსელონა | კამერუნი |
| ლუიშ ფიგუ | ინტერი | პორტუგალია |
| ჯენარო გატუზო | მილანი | იტალია |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული | ინგლისი |
| ტიერი ანრი | არსენალი | საფრანგეთი |
| კაკა | მილანი | ბრაზილია |
| მიროსლავ კლოზე | ვერდერი | გერმანია |
| ფილიპ ლამი | ბაიერნი | გერმანია |
| ფრენკ ლამპარდი | ჩელსი | ინგლისი |
| იენს ლემანი | არსენალი | გერმანია |
| ალესანდრო ნესტა | მილანი | იტალია |
| ანდრეა პირლო | მილანი | იტალია |
| ფრანკ რიბერი | მარსელი | საფრანგეთი |
| ხუან რომან რიკელმე | ვილიარეალი | არგენტინა |
| რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია |
| უეინ რუნი | მანჩესტერი | ინგლისი |
| ტომაშ როსიცკი | არსენალი | ჩეხეთი |
| ანდრეი შევჩენკო | ჩელსი | უკრაინა |
| ლილიან ტურამი | ბარსელონა | საფრანგეთი |
| პატრიკ ვიეირა | ინტერი | საფრანგეთი |
| ზინედინ ზიდანი | კარიერა დაასრულა | საფრანგეთი |

# სენეგალელი რაული: მე გავხსნი სკოლას



რაული არასდროს დაივიწყებს იმ 24 საათს, სენეგალის დედაქალაქ დაკარში რომ გაატარა. „სენეგალიდან შთაბეჭდილებებით აღსავსე დავბრუნდი, ნანახმა სულით ხორცამდე შემძრა“ — განაცხადა „რეალის“ კაპიტანმა. სამეფო თეთრების მეშვიდე ნომერი სამშაბათს აფრიკულ ქვეყანაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კეთილი ნების ელჩად ჩავიდა და სილატაკისგან დაღდასმული სენეგალის თანამედროვე რეალობას გაეცნო.

თავის მეუღლესთან მამენ სანსთან და „რეალის“ წარმომადგენელ ხინეს კარბახალთან ერთად მადრიდელმა ჯერ დედაქალაქში ფანის უნივერსიტეტის ბაზაზე გახსნილი ჰოსპიტალი მოინახულა, სადაც შიდსით დაავადებულთა საკვები პროდუქტების გაუმჯობესებით არიან დაკავებულნი, შემდეგ პერიფერიაში, ჰან ბელ აირის უბანში მივიდა. აქ მოსახლეობის უმეტესობას ქალები შეადგენენ, რომლებიც თავს მხოლოდ სოფლის მეურნეობით ირჩენენ. „რეალის“ კაპიტანი სენეგალში გაეროს სპეციალური პროგრამის, „აგრიკულტურისა და კვების“ მხარდასაჭერად გახლდათ. ამიტომაც მადრიდელმა ჰან ბელ აირში იმ ორგანიზაციის საქმიანობა შეამოწმა, რომელიც ხსენებულ პროგრამას ახორციელებს.

ყველაზე ემოციური მაინც „ასან ეიუფის“ სტადიონზე სტუმრობა გამოდგა. იქ რაული ლეუბესის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელთა მატჩს დაესწრო. პატარა სენეგალელები ბურთის ქვიშით დაფარულ სტადიონზე დასდევდნენ და ნორჩთა ოსტატობამ სახელგანთქმული ფეხბურთელის ყურადღება მიიპყრო. რაულის აზრით, აფრიკულ ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს. „ძალიან კმაყოფილი დავრჩი იმით, რაც აქ ვნახე. ბავშვები საოცრად თამაშობენ. ძალიან პატარები არიან იმისთვის, რომ ასე კარგად იბურთაონ“ — თქვა ლეგენდარულმა გონსალეს ბლანკომ. შემდეგ კი რაული მოედანზე სათამაშოდ თავადაც შევიდა, რითაც პატარებს ალბათ ცხოვრებაში დაუვიწყარი სიხარული აჩუქა.

მატჩის შემდეგ რაული სენეგალის სპორტის მინისტრ ელ ჰაჯი დუდაფაიეს შეხვდა, რომელსაც მადრიდის „რეალის“ მაისურა გადასცა. მერე კი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი მამადუ დიანა მოინახულა. ამ უკანასკნელმა სენეგალში „რეალის“ საფეხბურთო სკოლის გახსნის იდეა წამოჭრა — აქაური ბავშვები ფეხბურთს და სამეფო გუნდის ისტორიას უკეთესად გაეცნობიანო.

„რეალის“ კაპიტანი კი ესპანეთის სატახტოში ოთხშაბათს გამთენიისას დაბრუნდა. მედიის ცნობით, რაული „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონს უკვე მოელაპარაკა და უახლოეს ხანში სამეფო გუნდი სენეგალში თავის პირველ ოფიციალურ საფეხბურთო სკოლას გახსნის.

**ლადო ხომერიკი**





დიდი და პატარა ჯუზეპეები

# პაპამისის შვილიშვილი

ყოფილი იტალიელი 21-წლამდელი ჯუზეპე სკული რვა თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მიზეზი: აპენინურ პრესაში გამოქვეყნდა სკულის რამდენიმე სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელიც 2002 წლის ივლისში გამართულ „კროტონესა“ და „მესინას“ მატჩს ეხებოდა. ეს გახლდათ სერია **B**-ს დაპირისპირება. სკული მაშინ „კროტონეს“ ფეხბურთელი იყო.

რა თქვა სკულიმ ამ საუბრების დროს ასეთი? ამის შესახებ ზუსტად არ წერენ, მაგრამ მის სიტყვებში რაღაც მეტად „არასპორტული ყოფილა“. მეორე მხრივ, სკულის ნათქვამზე დაყრდნობით პირდაპირი მტკიცება, რომ ზემოხსენებული თამაში გარიგებული იყო, არ შეიძლება. გამოძიება იკვლევს კიდევ ოთხი ადამიანის ამბავს.

სკულიმ, რომელიც დღეს „ჯენოას“ ფეხბურთელია, კარიერა „იუვენტუსში“ დაიწყო, მაგრამ იმდენად ნიჭიერი არ გამოდგა „ბებერი ქალბატონის“ ძირითადში რომ მოხვედრილიყო და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მრავალი კლუბის მოვლა მოუხდა, თუმცა...

იცით ვისი შვილიშვილია ჯუზეპე სკული? ჯუზეპე მორაბიტოსი. და იცით ვინ არის დონ მორაბიტო? სამხრეთ იტალიური კრიმინალური დაჯგუფების „ნარანგეტას“ შეფი, რომელიც 2004 წელს კალაბრიის მთებში დააპატიმრეს. ამბობენ, „ნარანგეტამ“ დონ მორაბიტოს ძალისხმევით, ნარკოტიკების შეტანა-გასაღების საქმეში თვით მაფია დაჩრდილაო.

**ბაჩუნა ძიძია**

# რატომ ზის ეს კაცი ციხეში? თავისუფლება რობერტ ჰოიზერს!



**გახსოვთ** გერმანელი მექრთამე მსაჯი რობერტ ჰოიზერი? ჰოდა, როგორც სახელმწიფო პროკურორმა ჰარმუტ შნაიდერმა განაცხადა, ის შესაძლოა გაანთავისუფლონ, რადგან კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია. აი, ასე საინტერესოდ დაიწყო ლაიპციგის ფედერალურ სასამართლოში სხდომათა სერია, რომელიც განაჩენის გასაჩივრების გამო მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ ჰოიზერი ტენდენციურ მსაჯობაში ცნეს დამნაშავედ. ის გადიოდა ორ მილიონ ევროიან საქმეში, რომელიც ტოტალიზატორებთან გახლდათ დაკავშირებული. ამ საქმემ მაშინ ისეთი რეზონანსი მიიღო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კინაღამ მასპინძელი ქვეყნის, გერმანიის რეპუტაცია შეარყია, მაგრამ აი, მოულოდნელი სვლა. პროკურორთა ასეთი განცხადების შემდეგ მოსამართლე კლემენს ბასდორფს საქმის ხელახლა, დაკვირვებით შესასწავლად დრო დასჭირდა და სასამართლო 15 დეკემბრამდე გადადო.

როგორც ირკვევა, გერმანიაში 1961 წელს ამდაგვარი რამ მომხდარა, ოღონდ ის ამბავი დოლის ნიძლავებთან ყოფილა დაკავშირებული. მეორე მხრივ, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რამეთუ 1961 წლის ამბავი ადასტურებს იმას, რომ გერმანიაში არსებობს პრეცედენტი ანუ თემა ამ ქვეყნის მართლმსაჯულების მიერ ჯერ კიდევ 45 წლის წინ არის დამუშავებული. შნაიდერმა განაცხადა, რომ შარშან, ჰოიზერის პროცესზე სასამართლომ ვერდიქტი ისე გამოიტანა, რომ ამავე ტიპის ადრეული საქმეები კარგად არ შეუსწავლია. საინტერესოა ისიც, რომ ის რაც 1961 წელს გაამართლეს, 1979 წელს თაღლითობად შერაცხეს.

ჰოიზერს კი ორი წელიწადი და ხუთი თვე აქვს მისჯილი. მან ალიარა, რომ განზრახ არასწორად მსაჯობდა, რის გამოც ხორვატი ბუქმეიკერის თუ კვაჭის, ანტე საპინასგან ფულს იღებდა, მაგრამ ახლა, პროკურორები ამბობენ, რომ ამისთვის ადამიანის ციხეში ჩასმა არ შეიძლება, რადგან ეს ისეთი დანაშაულია, რომლისთვისაც სასჯელად მხოლოდ დისკვალიფიკაცია არსებობს, რაც ქვეყნის საფეხბურთო კავშირის საქმეა.

მაშ რატომ დაიჭირეს რობერტ ჰოიზერი? ეს გაირკვევა, თუმცა აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შარშან ნოემბერში მისი ციხეში ჩასმა გერმანული ფეხბურთის შეფებს ფრიად ეამათ — ჰოიზერის თავიდან მოშორებით ისინი მსოფლიოს ჩემპიონატს უფრო მშვიდად უმასპინძლებდნენ.

ჰოიზერის ტენდენციურად ნამსაჯი თამაშების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი გერმანიის თასის ის შეხვედრა გახლდათ, რომელშიც რეგიონალლიგის „პადერბორნმა" ბუნდესლიგის „ჰამბურგს" 4:2 მოუგო. ამ შედეგის მისაღებად ჰოიზერს „პადერბორნის" სასარგებლოდ ორი პენალტის დანიშვნა და ერთი ჰამბურგელი ფეხბურთელის გაგდება დასჭირდა. შედეგად ხორვატმა კვაჭმა 750 ათასი ევრო მიიღო და მსაჯს 67 ათასი უწილადა. ანტე საპინა ორი წლით და თერთმეტი თვით ჩასვეს.

**ბაჰუნა ძედია**



# ეტოოს კალენდრით თებერვალი დეკემბერშია

**კათოლიკური** შობისთვის სამუელ ეტოოს დაბრუნება ბარსელონური ინჩადისთვის ყველაზე საუკეთესო საჩუქარი იქნება. კამერუნელი ტრავმის მიღების პირველი დღიდანვე შეჰპირდა გულშემატკივრებს, ბურთს და მოედანს ექიმთა მიერ დადგენილ ვადაზე ადრე დავუბრუნდებიო და აასრულა კიდეც — ესპანური გაზეთების ცნობით, ეტოო გუნდთან ერთად ვარჯიშს უკვე დეკემბრის ბოლოს დაიწყებს და არა თებერვალში, როგორც ამას „ბარსელონას" სამედიცინო შტაბი ადრე აცხადებდა.

ეტოომ რთული ტრავმა სექტემბრის მეორე ნახევარში ბრემენის „ვერდერთან" საჩემპიონთალიგო მატჩისას მიიღო. ფეხბურთელს ოპერაცია მეორე დღეს გაუკეთეს და, მისივე მოთხოვნით, დაზიანებული მენისკი არ ამოკვეთეს. ექიმებმა მაშინ თქვეს, რომ ფეხბურთელს ფორმაში ჩასადგომად 5 თვე დასჭირდებოდა.

კამერუნელთან დაახლოებული პირები კი აცხადებენ, ფეხბურთელის რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი ხალხი (ქირურგ რამონ კუგატის გუნდი) ოპტიმისტურადაა განწყობილი და, „კამპ ნოუს" გასახარად, ეტოოს ვადაზე ადრე გამოჯანმრთელებას გვგმავენო. აფრიკელი ფორვარდი ნოემბრის პირველი რიცხვებიდან მალიორკაზე იმყოფება და ფიზიოთერაპიული ვარჯიშის კურსს გადის.

თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ეტოო გუნდთა ერთად წვრთნას საშობაო არდადეგების დროს დაიწყებს, ხოლო მატჩებში მონაწილეობას იანვრის შუაგულში შეძლებს.

**ლადო ხომერიკი**

# მექსიკა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონია

**უგო სანჩესი მექსიკის ნაკრების ახალი მწვრთნელია. კაქტუსისქვეყნელთა ყველა დროის საუკეთესო მობურთალმა თავისი დიდი ხნის ოცნება აისრულა. სანჩესი ერთი მიზნით მოვიდა — მისმა მექსიკამ 2010 წლის სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე მსოფლიოს ჩემპიონობა უნდა იზეიმოს. მისიის შესრულება ძნელი ხომ არ არის? მხოლოდ არა რეალელი ლეგენდისთვის, რომელიც აცხადებს, რომ თუ მიზნის მისაღწევად მთელი მექსიკა დაირაზმა, ჩემპიონობას ხელს ვერაფერი შეუშლის. მწვრთნელმა fifa.com-თან ინტერვიუში თავის პროექტებსა და ოცნებებზე ილაპარაკა**



**— სერნიორ სანჩეს, მექსიკის ნაკრები ჩაიბარეთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოცნება აისრულეთ?**

— რა თქმა უნდა. თუ რამეს დავისახავ მიზნად, აუცილებლად უნდა შევასრულო. ფეხბურთელობისას „პუმასის" შემადგენლობაში ორგზის ქვეყნის ჩემპიონი გავხდი, ეროვნულ გუნდში ვითამაშე და შემდეგ ბედის საცდელად ევროპას მივაშურე. როგორც მწვრთნელი, იმავე გზას ვადგავარ — ხუთი წელიწადი მექსიკაში საკლუბო დონეზე ვმუშაობდი, „პუმასი" ორგზის ჩემპიონი გავხადე და ახლა ნაკრების დროც მოვიდა. ევროპაში წასვლა შემდგომი ნაბიჯი იქნება, მაგრამ ახლა მთელი ყურადღება ეროვნულ გუნდზე მაქვს გადატანილი.

**— კონტინგენტი კარგი გყავთ, მექსიკის ჩვიდმეტწლამდელთა გუნდი ჩემპიონია და ახალი თაობაც ძლიერი მოდის...**

— გეთანხმებით, მაგრამ ეს მხოლოდ ფეხბურთს არ შეეხება. მთელი ქვეყანა იცვლება და უკეთესობისკენ მიდის. პოლიტიკა, ეკონომიკა და, საერთოდ, ყველაფერი ვითარდება. მექსიკელი ერი მსოფლიოს ბოლო წლებში თავისი საუკეთესო სახით წარუდგა — ჩვენ აშკარად კარგ გზას ვადგავართ, რაც ფეხბურთშიც აისახება. ადრე მექსიკა ფეხბურთში დიდ ძალას არ წარმოადგენდა, თუმცა 1993 წლის კოპა ამერიკაზე მონაწილეობის შემდეგ მსოფლიომ სხვანაირად შემოგვხედა. კოპა ლიბერტადორესი, კონფედერაციათა თასი, რომელიც 1999 წელს მოვიგეთ და 17-წლამდელთა მუნდიალის ოქრო. დღეს სულ უფრო მეტი მექსიკელი ფეხბურთელი იხვეჭს უცხოეთში სახელს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის შესანიშნავია.

**— ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებიდან ყველაზე გამორჩეულებს ძირითადში დაწინაურების შანსი მიეცემათ?**

— შანსები ექნებათ, თუმცა ახალგაზრდებს ძირითად ნაკრებში გადასვლის პროცესი უეცრად არ მოხდება. ბიჭებს დავაკვირდებით და როცა მზად იქნებიან, ეროვნული გუნდის კარი მათთვის ყოველთვის ღია იქნება.

**— თქვენ ევროპაში დიდი ხანი ითამაშეთ. მექსიკელ ლეგიონერთა ახალ ტალღაზე რას ფიქრობთ?**

— ყოველთვის ვამბობდი, რომ ევროპულ ლიგებში ჩატარებული ერთი მატჩი 30 მექსიკურის ტოლფასია. დიდევროპულ ჩემპიონატებში მოთამაშე მექსიკელთა გამოცდილება ფასდაუდებელია და ისინიც ნაკრებს დიდ დახმარებას გაუწევენ. ლეგიონერებით კმაყოფილი ვარ და ველოდები, რომ ევროპაში მექსიკელთა ახალ-ახალი არმიები გაემგზავრებიან.

**— თქვენი ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელებს ნაკრებში მოხვედრის უპირატესობა ექნებათ...**

— ვერ დაგეთანხმებით. რა თქმა უნდა, განვითარების შანსები „ევროპელებს" მეტი აქვთ, მაგრამ უყურადღებოდ არც „მექსიკელები" დარჩებიან — ნაკრებში საუკეთესოებს მოვიწვევთ, მიუხედავად იმისა, ევროპაში თამაშობენ თუ ადგილობრივ ჩემპიონატში. ვფიქრობ, „ბარსელონას" ჯოვანი დოს სანტოსი და „ოლიმპიაკოსის" ნერი კასტილიოც მოვიწვიო. ამ ორ ფეხბურთელს სხვა ნაკრებებში ბურთაობის შესაძლებლობებიც აქვთ, თუმცა ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, მექსიკის ღირსებას თუ დაიცავენ. ვეცდები, საჭირო ზომები მივიღო, რათა მათ ჩვენთან ითამაშონ.

**— ნაკრები ბოლო მუნდიალებზე ოდენ მერვედფინალში გადიოდა. ამ ბარიერის დაძლევის დრო ჯერ არ მოსულა?**

— მინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ. ეს ჩვენი უპირველესი მიზანია და მთელი ყურადღება ამაზე უნდა გადავიტანოთ. მიზნის მისაღწევად მუშაობას არ შევუშინდები, მაგრამ წარმატებისთვის სხვათა დახმარებაც მჭირდება. უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთელთა მხრიდან, თუმცა უსაქმოდ არც გუნდის უფროსები, ინჩასები და ჟურნალისტები უნდა გაჩერდნენ... თუ ყველა თავის საქმეს რიგიანად გააკეთებს, უთუოდ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით.. ყოველთვის მაღალი მიზნის მიღწევას ვცდილობდი, ვაღწევდი კიდეც და ამჯერად, ხალხი თუ მხარში დამიდგა, მუნდიალის ოქრო მარადიულ ოცნებად არ დაგვრჩება. რწმენა რწმენაა და მე მექსიკის ჩემპიონობაში დარწმუნებული ვარ.

**— ორმაგი მოქალაქეობის მქონე ფეხბურთელებს ადრე ეჭვის თვალით უყურებდით. ახლა კი ამასთან დაკავშირებით აზრი შეიცვალეთ...**

ერთი რამის თქმა მინდა — მე ნებისმიერი მექსიკელი ფეხბურთელის სურვილს, ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქე გახდეს, პატივისცემით ვეპყრობი, მაგრამ არამც და არამც არ მოვიწონებ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ამ პროცესმა სახიფათო ხასიათი არ მიიღოს. მექსიკის კონსტიტუციას ვერ შევცვლი და თუ მასში აღნიშნულია, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონენი მაინც მექსიკელები არიან, ამ ბიჭებს ნაკრებში სიამოვნებით მივიღებ.

**— კაუტემოკ ბლანკო 2006 წლის გერმანულ მუნდიალზე არ ყოფილა. თქვენ მასთან დიდი მეგობრობა გაკავშირებთ. ბლანკოს ნაკრებში მიიწვევთ?**

— ჯერჯერობით კანდიდატთა გვარების გამხელა არ მსურს, ნაცნობ-მეგობრობით კი ნაკრებში არავის ვათამაშებ. რასაკვირველია, არიან ფეხბურთელები, რომლებთანაც წლების განმავლობაში მიმუშავია და სხვებზე უკეთ ვიცნობ, თუმცა თუ ისინი ფორმაში არ იქნებიან, მოწვევის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეონარდოს სამეცნიერო ნაშრომი: ახლანდელი იტალიის ბაჯო კანავაროა

ფაბიო კანავარომ „ოქროს ბურთი“ საკმაოდ დიდი უპირატესობით მოიგო და ალბათ ღირს იმაზე დავა, ეკუთვნოდა თუ არა მას ეს პრესტიჟული ჯილდო. იმ ადამიანების გარდა, ვინც თვლის, რომ „სკუადრა აძურას“ კაპიტანი დამსახურებულად აღიარეს ამ წლის საუკეთესოდ, არიან ისეთი ავტორიტეტული ფიგურებიც, რომელთა აზრითაც, „ოქროს ბურთი“ სხვა უნდა მიეღო. კერძოდ, მეორე ადგილზე გასულ ჯანლუიჯი ბუფონს ან მესამეადგილოსან ტიერი ანრის



ბევრი თვლის, რომ „ოქროს ბურთი“ ანრის ეკუთვნოდა და მათ შორის, ცხადია, „არსენალის“ ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერიცაა. 29 წლის ფორვარდი აქამდე ამ ჯილდოსთან ასე ახლოს 2003 წელს გახლდათ, მაგრამ მაშინ ჩეხმა ნედვედმა აჯობა.

„ეს შეცდომაა. ევროპამ ანრის თამაშზე კიდევ ერთხელ დახუჭა თვალი. როგორც ჩანს, ხალხმა გადაწყვეტილება მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის მიხედვით მიიღო, რაც სწორი არ არის. მაგალითად, მუნდიალზე ტოგოსა და სამხრეთ კორეის დარ ნაკრებებთან თამაშში ვერ იტყოდი, რომ ანრის საუკეთესო მატჩები ჰქონდა, ისევე, როგორც კანავაროს. თუმცა დააკვირდით, როგორი მეტოქეების წინააღმდეგ და რა წარმატებით თამაშობს ანრი პრემიერლიგაში ან ჩემპიონთა ლიგაში. ჩემი აზრით, ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატის შვიდი შეხვედრა“ — განაცხადა ვენგერმა.

კანავარომ წლეულს ორი მატჩი აშკარად ჩააგდო, ორივე ფრანგულ „ლიონთან“ შეხვედრაში და „ლომების“ მწვრთნელი ჟერარ ულიეც სწორედ ამაზე საუბრობს: „სხვა ფეხბურთელებთან შედარებით, იგი ამ ჯილდოს არ იმსახურებდა. კანავარომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ არა მთელ სეზონში. პირადად მე „ოქროს ბურთს“ ბუფონს მივცემდი. თუმცა ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ ანრი, რომელსაც ბოლო წლებში სეზონში 20-20 გოლი მაინც გააქვს და ჩინებულად ირჯება, გამარჯვების კანდიდატად, ფაქტობრივად, არც განიხილებოდა. არადა, მან წლეულს ორ ფინალში ითამაშა. ვფიქრობ, ტიერის წინააღმდეგ ცუდი კამპანია აგორდა. „ლიონი“ — „რეალის“ პირველ მატჩს რომ მოვეშვათ, ნახეთ, რა უქნა იონ კარეუმ კანავაროს მადრიდში გამართულ შეხვედრაში და თქვენც მიხვდებით, რომ იგი „ოქროს ბურთს“ არ იმსახურებს.“

თავდაპირველად გავრცელდა ჭორები „ოქროს ბურთს“ ბუფონი მოიგებს და საფეხბურთო სამყაროში ბევრი ცნობილი ადამიანიც ამბობდა, ეს ჯილდო ჯიჯის ეკუთვნისო. იმედიანად იყო თავად ტურინის „იუვენტუსის“ კარის დარაჯიც. თითქოს ბუფონი 1963 წელს ლევ იაშინის გამარჯვების შემდეგ „ოქროს ბურთის“ მომგები პირველი მეკარე უნდა გამხდარიყო.

ჯანლუიჯი ბუფონი: „ფაბიომ მოიგო, რადგან იგი საუკეთესოა. მას ბრწყინვალე წელი ჰქონდა და ეს ჯილდო ეკუთვნოდა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ „ოქროს ბურთს“ ასე მივუახლოვდებოდი და თავიდან, როცა ჩემზე გავრცელდა ჭორები, მჯეროდა, მოგება შემეძლო. თუმცა რამდენიმე დღეში მივხვდი, რომ ეს არ მოხდებოდა. გული არ მწყდება, ვფიქრობ, კიდევ მქნება „ოქროს ბურთის“ მოპოვების შანსი და იმედია, ამას მოვახერხებ.“

„კანავაროს პირველზე და ბუფონის მეორეზე გასვლა ბოლო წლებში ჩვენი წარმატების გვირგვინი და იტალიური ფეხბურთის მორიგი დიდი გამარჯვებაა. ფაბიომ დამსახურებულად იმარჯვა და ეს ჯილდო ნაკრების სხვა ფეხბურთელებსაც ეკუთვნით. არ გამკვირვებია, რომ საუკეთესოდ მცველი აღიარეს, რადგან „ოქროს ბურთს“ ის იგებს, ვინც ეს თავისი კარგი თამაშით დაიმსახურა. არ აქვს მნიშვნელობა, რა პოზიციის მოთამაშე ხარ“ — თქვა „სკუადრა აძურას“ ყოფილმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი: „იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია და ამ ჯილდომ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. გარდა ამისა, ფაბიო ჩინებული ადამიანია. იგი ყოველთვის მხიარული, ოპტიმისტი და აქტიურია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ამდენი რამ მოიგო, მაინც ახალი გამარჯვებების მოპოვება სწყურია და ძალიან მოტივირებულია. მადლობა კანავაროს, რომ იგი „რეალში“ გადმოვიდა. მას კიდევ რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ არჩევანი ჩვენზე შეაჩერა. ერთადერთი, რაც კანავაროს აკლია, ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. მან მითხრა, რომ სურვილის ასრულება მიმდინარე სეზონში სურს და ვფიქრობ, ყველას ერთად ამ წარმატების მიღწევა შეგვიძლია, მაგრამ წინ დიდი და რთული ბრძოლაა.“

ესპანეთში კანავაროს გამარჯვებას ყველა აღფრთოვანებით არ შეხვედრია. მაგალითად, კატალონიურმა „სპორტმა“ დაწერა, რომ ეს „ოქროს ბურთი“ კი არა, „ტყვიის ბურთია“, კანავარო რონალდინიოს შემცვლელობას არ იმსახურებსო.

„ფაბიომ მოიგო, რადგან ეს დაიმსახურა. იმედია, ახლა ყველა ტაშს დაგვიკრავს და თავს დაგვიხრის, უეფაც, ფიფაც და მიშელ პლატინიც, ვინც თქვა, რომ კანავაროს „ოქროს ბურთი“ არ ეკუთვნოდა“ — აღნიშნა იტალიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ მცველმა მარკო მატერაციმ.

შეგახსენებთ, რომ პლატინი ამბობდა, „ოქროს ბურთი“ ბუფონმა უნდა მოიგოს, მით უმეტეს, თუ გამარჯვებული აუცილებლად იტალიელი იქნებაო.

„მატრიცამ“ პასუხი ჟერარ ულიესაც გასცა: „იგი კარგი ადამიანი და ჩინებული მწვრთნელია. ბევრსაც იგებს, მაგრამ დიდწილად „ლიონში“ მისი წინამორბედის პოლ ლე გუენის ნამუშევარის წყალობით. ვფიქრობ, ჯობია ულიემ თავის საქმეს მიხედოს და საკუთარ პრობლემებზე ინერვიულოს.“

ბრაზილიის ნაკრებისა და „მილანის“ ყოფილი თავდამსხმელი ლეონარდოც მიიჩნევს, რომ 33 წლის კანავაროს ეს ჯილდო ეკუთვნოდა. ლეონარდოს 90-იან წლებში უთამაშია კანავაროს წინააღმდეგ. **BBC**-სთან საუბარში მან რამდენიმე საინტერესო კომენტარი გააკეთა.

„კანავაროს ეკუთვნოდა „ოქროს ბურთი“. რაც ასაკში შევიდა, იგი უკეთესი და უკეთესი გახდა. ძალიან იშვიათია, რომ ამ პრესტიჟულ ჯილდოს ან ფიფას წლის საუკეთესო მოთამაშის წოდებას მცველი იგებდეს. როგორც წესი, ამას თავდამსხმელები ახერხებენ. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინვალე თამაშმა ბევრად განაპირობა ფაბიოს გამარჯვება. თანაც მუნდიალზე გამორჩეულმა ვარსკვლავებმა და ფორვარდებმა ვერ გაიბრწყინეს, რამაც კანავაროს გზა გაუხსნა.

კანავარო ძალიან სწრაფია, თამაშს ბრწყინვალედ კითხულობს და, როგორც წესი, იქამდე უვარდება ფეხებში მეტოქეს, ვიდრე ის დარტყმას ან პასის მიცემას დააპირებს. იგი ყოველთვის ძალიან კონცენტრირებულია და ფიზიკურად საოცრად ძლიერია. მაღალი არ არის, მაგრამ ისე კარგად ხტება, რომ საჰაერო ბრძოლებს იშვიათად აგებს. არ უნდა დაგვავიწყდეს კალჩოპოლის სკანდალი. გარდა ფსიქოლოგიური პრობლემებისა, იტალიას თავდასხმაშიც უჭირდა. ფრანჩესკო ტოტი ახალი მომჯობინებული გახლდათ, ხოლო ალბერტო ჯილარდინო და ლუკა ტონი სათანადოდ ვერ ირჯებოდნენ. შესაბამისად, მუნდიალზე „სკუადრა აძურას“ საუკეთესო რგოლი და მთავარი ძალა დაცვა იყო, რომელშიც კანავარო აშკარად გამორჩეულია. მას დიდი ქარიზმა აქვს, თანაგუნდელებს ყოველთვის ქოქავს და ხალხსაც მოსწონს იგი.

ვფიქრობ, ბოლო წლებში ფაბიო ფსიქოლოგიურადაც გაიზარდა და ამან ხელი შეუწყო. „იუვენტუსში“ მას კაპელოს ხელი მოუხდა და „რეალში“ ახლაც კაპელოსთან ერთადაა. ის, რომ იტალიელს 13 წელი არ მოეგო „ოქროს ბურთი“, არცთუ ძნელი ასახსნელია. უბრალოდ, ბოლო წლებში იტალიური ფეხბურთი მსოფლიოს უფრო კოლექტიური სიძლიერით წარუდგა და არა გამორჩეული ლიდერით. რობერტო ბაჯოს შემდეგ ასეთი განსაკუთრებული მოთამაშის პოვნა ცოტა ძნელი იყო“ — თქვა ლეონარდომ.

**გიორგი ქაქაბაძე**



ნეაპოლელმა მოქანდაკე ჯუზეპე დი ვირჯილიომ ფაბიო კანავარო „ოქროს ბურთით“ გამოძერწა



არსენ ვენგერმა კანავარო გააპროტესტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვილიას ყიდვა ადვილია?
## 150 მილიონი წვრილი კუპიურებით



**ლონდონის** „ჩელსის“ დავიდ ვილიას ყიდვა სურს. საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისელთა საამსეზონო ძვირფასი შენაძენი შევჩენკო, რომან აბრამოვიჩთან ძმაკაცობის მიუხედავად, „ჩელსის“ კარგად ვერ შეეწყო და ალბიონელებიც იანვარში უკრაინელის „მილანში“ დაბრუნებას ვარაუდობენ. „შევას“ შემცვლელად კი სწორედ „ღამურათა“ მეგოლე მოიაზრება. ვილია „ჩელსის“ სატრანსფერო სამიზნეზეა და აბრამოვიჩიც, როგორც ეს ყველა. ზაფხულს სჩვევია, საჭირო კაცის ხელში ჩასაგდებად დიდძალი ფულის გადახდას არ მოერიდება.

„სტემფორდ ბრიჯზე“ დავიდ ვილიას შესახებ დაწვრილებით ცნობებს ფლობენ. ესპანელი „სარაგოსაში“ ბურთაობის შემდეგ, როგორც ფეხბურთელი, ძალიან გაიზარდა და თავისი ოსტატობა „ვალენსიას“ დონის გუნდში წარმატებული თამაშითაც დაამტკიცა. „მესტალიას“ კლუბმა შესანიშნავად იცოდა, რა ბრილიანტის პატრონიც იყო და გასულ გაზაფხულს ვილიას კონტრაქტი გაუხანგრძლივა. მეგოლემ ხელი შვიდსეზონიან ხელშეკრულებაზე მოაწერა, რომლის თანახმადაც, დავიდი წლიურად 1,8 მილიონ ევროს იღებს, ხოლო ფეხბურთელთან კონტრაქტის გაწყვეტა სამოციდან ასოცდაექვს მილიონ ევრომდე ღირს. „ვალენსიას“ პრეზიდენტმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 150 მილიონი ევრო მოითხოვა, „ჩელსი“ კი 32-ს იხდის.

ესპანეთში „ჩელსის“ უპირველეს ინფორმატორად და აგენტად ხუან კრუზ სოლი ჰყავს. „ვალენსიასა“ და მადრიდის „რეალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგაზე ვილიას „ოლიმპიაკოსთან“ ბურთაობა ნახა და ლონდონში თავის ახლანდელ პარტნიორებს სასწრაფოდ შეუთვალა, ასეთი ტექნიკურად ძლიერი, მებრძოლი ხასიათის და ორივე ფეხით უძლიერესი დარტყმის მქონე კაცის ხელიდან გაშვება არამც და არამც არ შეიძლებაო. „ოლიმპიაკოსთან“ ჯახი „სტემფორდ ბრიჯის“ კლუბის სპორტულ დირექტორ ფრენკ არნესენსაც უნახავს და ვილიას თამაშით ისიც აღტაცებული დარჩენილა.

დავიდ ვილიას ყიდვა რომ „ჩელსიმ“ იანვარში მოინდომოს და ტრანსფერიც გაჩარხოს, ესპანელი ლონდონელთა შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაზე ვერ ითამაშებს, რადგან საამსეზონო ტურნირზე მონაწილეობა, როგორც „ვალენსიას“ ფეხბურთელმა, ისე მიიღო.

„სტემფორდ ბრიჯზე“ უკვე ხვდებიან, რომ ანდრეი შევჩენკო, ვინც გასულ ზაფხულს „ჩელსიში“ მისულ საოცრებად ჩაითვალა, სადღეისოდ პრობლემად გადაიქცა. თანაც „შევას“ კლუბის მწვრთნელ მაურინიუსთანაც გართულებული ურთიერთობა აქვს და ამ დროს კი „სადღაც“ ესპანეთში არის ვილია, რომელიც მეტოქის მისადგომებს მიჯრით იკლებს. ინგლისური მედიის ცნობით, კარგა ხანია, აბრამოვიჩი დავიდ ვილიას თამაშისადმი სიმპათიით განეწყო და მორიგ ინგლისურ-ესპანურ გარიგებასაც უნდა ველოდოთ.

„ვალენსიაში“ ჯერჯერობით ლონდონურ სუსხზე მეტად შინაური ციებ-ცხელება უფრო აწუხებთ — უკვე 5 ტურია, გუნდს პრიმერადივიზიონში მატჩი არ მოუგია, თუმცა „ღამურების“ პრეზიდენტი ხუან სოლერი მწვრთნელთან დამშვიდობებას არ აპირებს. „გაზეთებმა დაწერეს თითქოს კიკე სანჩეს ფლორესის მოხსნა და „ვალენსიაში“ სხვა მწვრთნელის მოყვანა მინდა. ეს სიმართლეს არ შეეფერება. ჩვენ კვლავ კიკესთან თანამშრომლობის გაგრძელება გვსურს“ — აღნიშნა სენიორ ხუან ბაუტისტა სოლერმა.

„ღამურათა“ უფროსმა ისიც თქვა, რომ ტრავმების მიუხედავად, იანვარში ახალი ფეხბურთელების ყიდვას არ აპირებს: „კანტერას“, ფილიალი გუნდის რესურსებს მივენდობით. ახალი ტრანსფერების აუცილებლობა არ არსებობს“.

**ლადო ხომერიკი**



აარონ ჰუნტი „ვერდერში“ კიდევ სამი წელი დარჩება

# დირექტორი ჰუნტის დაკრულზე ცეკვავს

**ბრემენის** „ვერდერის“ ფორვარდმა აარონ ჰუნტმა კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. 20 წლის თავდამსხმელი გუნდში 2010 წლის ივნისამდე დარჩება. „კონტრაქტის გაგრძელებაზე რამდენიმე თვის წინ სიტყვიერად შევთანხმდით, ახლა კი ქაღალდებზე მოვაწერეთ ხელი, რადგან რამდენიმე დეტალი იყო მოსაგვარებელი — განაცხადა კლუბის სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა — აარონმა ნიჭი ძალიან მალე გამოავლინა და გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელი გახდა. გახარებულები ვართ, რომ ჩვენი სკოლის აღზრდილი მოთამაშე გამოგვადგა“.

აარონ ჰუნტმა კარგი თამაშით ძირითადი შემადგენლობისკენ გზა გადაუკეტა ივან კლასნიჩს, უგო ალმეიდას და მოჰამედ ზიდანს. ალოფსმა უარყო ცნობა, თითქოს იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას კლასნიჩის გაყიდვას აპირებენ. ხორვატ ფეხბურთელს კონტრაქტის ვადა მომავალ ზაფხულს ეწურება. ხორვატიული მედიის ინფორმაციით, კლასნიჩი „მანჩესტერ სიტის“ სურს, ხოლო გერმანული პრესა ფორვარდის „ჰამბურგში“ შესაძლო გადასვლაზე საუბრობს. „ჩვენ გვყავს შერჩეული თავდამსხმელები, რომლებიც სეზონის ბოლომდე არსად არ წავლენ და მათთან განშორებას ნაადრევად არ ვაპირებთ“ — ბრძანა კლაუს ალოფსმა.

ივან კლასნიჩი „მუსიკოსებში“ 2001 წელს „ზანკტ პაულიდან“ გადავიდა და ერთხანს კარგადაც თამაშობდა, მაგრამ ბოლოს მინელდა. ამბობენ, რომ „ვერდერი“ „ალემანიადან“ გერმანიის ნაკრების ფორვარდ იან შლაუდრაფის ყიდვას აპირებს და შეიძლება, სატრანსფერო გარიგებაში კლასნიჩიც ჩართოს. თავად ხორვატი სამომავლო გეგმებზე არ საუბრობს.

**ირაკლი ნინიძე**

# გახსოვდეს ოლივეირა
## ოდონკორს ორმოცის მერე ელიან



**„ბეტისის“** მთავარ აქციონერ მანუელ რუის დე ლოპერას თავისი ფეხბურთელების უსიამოვნო სურპრიზებით განცვიფრება კარგად ეხერხება. რამდენიმე თვის წინ ანდალუზიელმა თავკაცმა რიკარდო ოლივეირა, რომელიც ბრაზილიიდან კლუბში დროულად ვერ დაბრუნდა, ერთი მილიონი ევროთი დააჯარიმა, ხოლო ახლა სასჯელი გერმანიაში სამკურნალოდ წასულ დავიდ ოდონკორსაც ემუქრება.

„მწვანეების“ გერმანელმა ლეგიონერმა კვირას სამშობლოში ოპერაცია გაიკეთა და როგორც გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის საინტერნეტო ვებ-გვერდი გვამცნობს, ესპანეთში დაბრუნებას ოპერაციიდან ორმოცი დღის განმავლობაში ვერ შეძლებს. ექსცენტრულმა სენიორ ლოპერამაც უმალ განაცხადა, თუ ოდონკორმა ხსენებულ ვადას გადააცილა და სევილიაში ორმოც დღეში არ დაბრუნდა, ფინანსურად დავსაჯოთო.

ოდონკორს ოპერაცია ტრავმის გამო დასჭირდა, რომელიც ორი კვირის წინ გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ამხანაგური მატჩის დროს მიიღო.

გერმანელის გარდა „ბეტისს“ მცველი ნანოც ტრავმირებული ჰყავს და პრიმერადივიზიონის მომდევნო ტურში „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ ეს მობურთალიც ვერ იბრძოლებს.

**ლადო ხომერიკი**

# კოპიანი პაკო



**„ესპანიოლის“**, „სარაგოსასა“ და „ალმერიას“ ყოფილი მწვრთნელი პაკო ფლორესი, ამიერიდან ტარაგონას „ხიმნასტიკის“ დამრიგებელი გახდება. ფლორესმა კატალონიურ გუნდში ლუის სეზარ სამპედრო შეცვალა, სპეციალისტი, რომელიც კვირას „მალიორკასთან“ წაგებული მატჩის შემდეგ მოხსნეს. „ხიმნასტიკი“ სადღეისოდ პრიმერადივიზიონის აუტსაიდერია, ხოლო კლუბის უფროსობის მიერ მხსნელად მიჩნეული პაკო ფლორესი თავს ახალ გუნდთან სეზონის დასრულებამდე ითანამშრომლებს.

„ხიმნასტიკის“ თავკაცობამ ხალხს ახალი მწვრთნელის დანიშვნის შესახებ სამშაბათ საღამოს ამცნო. დირექტორატი ჯერ ლუის ენრიკე მარტინესის ან აბელ რესინიოს კანდიდატურებზე ფიქრობდა, თუმცა ტარაგონელებმა საბოლოოდ პრიმერადივიზიონში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე ფლორესი ამჯობინეს.

პაკო ფლორესს პრიმერადივიზიონში „ესპანიოლისა“ და „სარაგოსას“ მწვრთნელად 128 მატჩი გაუმართავს. სადამრიგებლო სარბიელზე მის ყველაზე დიდ მიღწევებად 1999-2000-ის სეზონში „ესპანიოლთან“ ერთად კოპა დელ რეის მოგება და 2002-03-ში „სარაგოსას“ პრიმერაში გადაყვანა ითვლება.

გასულ სეზონში პაკოს სეგუნდადივიზიონიდან „ალმერიაც“ უნდა ამოეთრია, თუმცა ბოლოს მეექვსე ადგილზე გავიდა. ახლა ფლორესი „ხიმნასტიკის“ გადარჩენას ეცდება, რაც საკმაოდ ძნელი საქმეა — ტარაგონული გუნდი ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში 9 წაგებით, ორი ფრით და ერთი მოგებით ბოლო ადგილზეა.

**ლადო ხომერიკი**

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ასტონ ვილას“ დანიელი მეკარე ტომას სორენსენი „მიდლსბროსთან“ მატჩში დაშავდა და მუხლზე ოპერაცია ელის. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მეკარეს მყესები გაუწყდა, რაც სამკვირიან უქმობას ნიშნავს. სორენსენმა ტრავმა ბოროელ ემანუელ პოგატეცთან შეჯახების შემდეგ მიიღო. მის ნაცვლად კარში სათადარიგო მეკარე სტიუარტ ტეილორი ჩადგება.

**პორტუგალიური** „ბენფიკას“ იტალიელმა ფორვარდმა ფაბრიციო მიკოლიმ ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერთან“ ეგებ ვერც ითამაშოს. გასულ უქმეებზე „მარიტიმუსთან“ მატჩში ბურთისთვის ბრძოლისას ბარძაყის კუნთი იტკინა. გუშინწინ მან მცირე ხნით ივარჯიშა გუნდთან ერთად, მაგრამ შემდეგ დაითხოვეს ვარჯიშიდან და ექიმს მიაბარეს. ხვალ იგი ალბათ გამოტოვებს „სპორტინგთან“ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას. შეგახსენებთ, რომ „ბენფიკა“ „მანჩესტერს“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში 6 დეკემბერს სტუმრობს.

**ჰოლანდიური** „ვალვაიკის“ მწვრთნელი ადრიე კოსტერი მოხსნეს. ამის შემდეგ კლუბის პატრონმა ოფიციალურად განაცხადა. განცხადებაში ნათქვამია, რომ წელიწადნახევარი იმუშავა კოსტერმა გუნდში, მაგრამ საქმე ვერ ააწყო. მან 2005 წლის ივლისში ჩაიბარა „ვალვაიკი“ ერვინ კუმანისგან. გასულ უქმეებზე „ტილბურგთან“ 1:3 მარცხის შემდეგ „ვალვაიკი“ ბოლო ადგილზე დაეშვენა.

**ინგლისის** მეორე დივიზიონის კლუბ „ტორკის“ მწვრთნელად ჩეხეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ლუბოშ კუბიკი დანიშნეს. 42 წლის კუბიკს მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე უთამაშია, 1996-ში კი ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც იყო. იგი პირველი ჩეხი მწვრთნელი გახდა ინგლისურ კლუბში. თავის დროზე თამაშობდა „დერბიში“, „ფიორენტინაში“, „მეცში“ და „ნიურნბერგში“.

**რუსულმა** „ზენიტმა“ ტომსკის „ტომიდან“ პაველ პოგრებნიაკი იყიდა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. 23 წლის ფორვარდი ნევისპირული კლუბისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია. შეგახსენებთ, რომ „ზენიტს“ ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი ჩაუდგა სათავეში და მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა ნახევარმცველმა ფერნანდო რიკსენმა, რომელიც ადვოკაატმა „რეინჯერსიდან“ გადაიბირა გასულ ზაფხულს.

# სერს უნდა სეირი: რუნი და ტორესი


ფერნანდო ტორესს ალექს ფერგიუსონი არ ეშვება

**მიუხედავად** იმისა, რომ დღეს საუკეთესო ფორმაში არაა, ფერნანდო ტორესი მაინც დიდსაფეხბურთო ევროპული გრანდების სატრანსფერო სამიზნეზე რჩება. ადრე „ელ ნინიოს“ ხელში ჩაგდებას სხვაზე უფრო აქტიურად იტალიური „მილანი“ ცდილობდა, ახლა კი ფერნანდოს „ოლდ ტრეფორდზე“ მიყვანა „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს. გუშინდელი „დეილი მეილის“ ცნობით, ალექს ფერგიუსონი მზადაა, იანვრის სატრანსფერო ბაზარზე „ატლეტიკოს“ ფორვარდის შესაძენად უზარმაზარი ფული დახარჯოს. სერ ალექსი „ელ ნინიოს“ სანაცვლოდ არაფერს მოერიდება. არადა, იმ ოცწლიან პერიოდში, რაც ფერგიუსონი „იუნაიტედის“ თავკაცია, „წითელმა ეშმაკებმა“ ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე სულ სამი ფეხბურთელი იყიდეს — ნემანია ვიდიჩი, პატრის ევრა და დიეგო ფორლანი.

ამჟამად „მანჩესტერი“ ინგლისურ პრემიერლიგაში „ჩელსის“ რთულ ომში სჯობნის და ჩემპიონატის ცხრილში მეტოქეს სამი ქულით ალემატება. ხსენებული „დეილი მეილი“ კი გვეუბნება, რომ ერთი კვირის წინ, როცა „მანჩესტერი“ და „ჩელსი“ ერთმანეთს შეერკინნენ, ფერგიუსონს თავდასხმაში ცვლილებებთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა, რაც „ჩელსის“ ნამდვილად არ აწუხებს — „სტემფორდ ბრიჯის“ სათადარიგოთა სკამი მოიერიშეებითაა დახუნძლული. გამოცდილმა ფერგიუსონმა იცის, რომ სეზონის ბოლომდე ლიდერობის შესანარჩუნებლად გუნდში ტორესისნაირი მოიერიშის ყოფნაა საჭირო. კარგა ხანია, რაც სერ ალექსი თავდასხმაში ტორეს-რუნის დუეტის ხილვაზე ოცნებობს.

ინგლისური ვერსიის თანახმად, ტორესის ნისლიან ალბიონზე გადაბარგება 30 მილიონი ევროს ფასად მოხდება. ალექს ფერგიუსონი ამ თანხას ძვირად არ მიიჩნევს, რადგან მისთვის საამსეზონო პრემიერლიგის ჩემპიონობა უფრო ძვირფასია. „მანჩესტერის“ პატრონმა გლეიზერების ოჯახმა შოტლანდიელ მწვრთნელს იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ფულადი მხარდაჭერა აღუთქვა და სერ ალექსიც „ატლეტიკოს“ შეუტევს. თავად „იუნაიტედს“ კი, ალბათ, ფერგიუსონის სამომავლო გეგმებს გარეთ დარჩენილი ალან სმიტი და ოლე გუნარ სოსკიაერი დატოვებენ.

**ლადო ხომერიკი**

# კურტი რუმენიგეს ნათქვამში ხელს არ აფათურებს

**G14-ის** შეფებმა განაცხადეს, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატამდე აუცილებლად უნდა გაირკვეს ერთი მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხი: რა კომპენსაცია უნდა მიიღონ კლუბებმა თუკი მათი ფეხბურთელი ნაკრებში თამაშის დროს დაშავდება? მოგეხსენებათ, G14 და FIFA ერთმანეთთან დაპირისპირებული ორგანიზაციებია. ისინი რამდენიმე საკითხის გამო ვერა და ვერ შეთანხმებულან, ხოლო ორ დავას სასამართლო იხილავს. ეს ორი დავა ნაკრებში დაშავებულ ფეხბურთელებს ეხებათ, ერთი საჩივარი ბელგიური „შარლერუასგან“ მოდის ხოლო მეორე ფრანგული „ლიონისგან“.

როგორია ექსპერტთა პროგნოზი? პოლიტიკოსთა და საფეხბურთო მოხელეთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დავამ, რომლის შესახებაც მოგახსენებთ, შესაძლოა დიდი დარტყმა მიაყენოს ისეთ დიდ შეჯიბრებებს, როგორებიცაა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი.

„გვწამს, 2008 წლამდე ფეხბურთელთა ტრავმების დაზღვევის საკითხი მოგვარდება. მართალია, ამას ყველა მონაწილე მხარის კეთილი ნება სჭირდება, მაგრამ ჩვენ მაინც ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი“ — განაცხადა G14-ის გენერალურმა მენეჯერმა თომას კურტმა.

საგულისხმოა, რომ გასულ კვირაში ფიფას „ტასკ ფორსმა“, რომელსაც „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა ხელმძღვანელობს, განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები აქვს.


თომას კურტი


კარლ-ჰაინც რუმენიგე

თუმცა, საქმე მარტო G14-ის სასარგებლოდაც არ არის — „სარბიელის“ მკითხველს მოეხსენება, რომ რამდენიმე დღის წინ მიუნხენის „ბაიერნის“ თავმჯდომარემ კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია, რომელიც სინამდვილეში 18 დიდ ევროპულ კლუბს აერთიანებს, ეფექტური არ გამოდგა და „ბაიერნმა“ იგი შეიძლება დასტოვოს. ზემოხსენებულმა თომას კურტმა ამასთან დაკავშირებით ასე ბრძანა:

„ჩვენი გუნდების მოედანზე დაპირისპირებას, არასწორი ინტერპრეტაცია მოსდევს ხოლმე. ჩვენს შორის არ არსებობს პრობლემა, რომელსაც ვერ მოვაგვარებთ. არ მინდა ბატონი რუმენიგეს სიტყვებში ჩაძიება, მაგრამ მის ნათქვამს შეხვედრისას განვიხილავთ და ყველაფერს მოვაწესრიგებთ“.

შეგახსენებთ, რომ რუმენიგეს პრეტენზია შემოსავლების უთანასწორო განაწილებას ეხებოდა. გერმანელმა საფეხბურთო მოღვაწემ და ყოფილმა ვარსკვლავმა ასეთი ფრაზაც კი მოიშველია, როგორც ჩანს ფეხბურთში ეგოიზმი მეფობს და ყველა თავისკენ ექაჩებაო.

**პაპუნა ძიდია**

## ფეხბურთის რუკასთან

**ესპანური** „ვალენსიას“ მცველი მიგელი დაახლოებით სამი კვირა ვერ ითამაშებს, რადგან ვარჯიშზე მარცხენა ფეხი იტკინა. პორტუგალიის ნაკრების წევრი გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგის მატჩს „რომასთან“, თუმც „ვალენსიას“ უკვე განაღდებული აქვს პირველი ადგილი. მიგელი შეუერთდა იმ ტრავმირებულებს, რომელთა შორის არიან დავიდ ვილია, ფერნანდო მორიენტესი, ედუ, ხაიმე გავილანი, ემილიანო მორეტი, ასიერ დელ ორნო და კარლოს მარჩენა. მუხლის მყესდაზიანებული დავიდ ალბელდა სავარაუდოდ ათ დღეში დაუბრუნდება გუნდს. მას თვეზე მეტი გაუცდა.

**ჰოლანდიური** „ალკმაარის“ განცხადებით, მეკარე ჯო დიდულიცა ტრავმის გამო წლეულს ვეღარ ითამაშებს. ხორვატი მეკარე ოქტომბერში პსვ-სთან მატჩში დაშავდა და მას შემდეგ მკურნალობს. „ალკმაარის“ მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა თქვა, დიდულიცას კვლავაც აწუხებს თავის ტკივილი და საეჭვოა, უახლოეს ერთ თვეში მომჯობინდესო.

**ინგლისური** „ლივერპულის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ბუდევეინ ზენდენმა მუხლი იტკინა და ხუთი კვირის განმავლობაში ვეღარ დაეხმარება გუნდს. ზუსტად იგივე ტრავმა მიიღო ჰოლანდიელმა შარშან და ახლა ოპერაცია ელის. „ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება — თქვა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა — ზენდენს რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში და ბევრ ფეხბურთელს ენაცვლებოდა“.

**ინგლისურ** „მანჩესტერ იუნაიტედს“ მილანის „ინტერის“ ახალგაზრდა თავდამსხმელის გორან სლავკოვსკის შეძენა განუზრახავს. წარმოშობით მაკედონიელი ფორვარდი შვედეთის მოქალაქეა და ახალ ზლატან იბრაჰიმოვიჩს ეძახიან. მან წელს „ნერაძურის“ რიგებში „სიენას“ წინააღმდეგ ითამაშა კიდეც, რითაც 17 წლისა და ერთი თვის ასაკში კლუბის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად იქცა, ვისაც უმაღლეს ლიგაში უთამაშია.

**იტალიური** „ტუტოსპორტის“ ცნობით, მოსკოვის „სპარტაკი“ „უდინეზეს“ 22 წლის განელი ნახევარმცველის სულეი ალ მუნტარის შეძენას აპირებს. აფრიკელი 10-15 მილიონ ევროდ ფასდება და „სპარტაკს“ მისი ყიდვა ბრაზილიელი მოცარტის ნაცვლად უნდა, რომელიც წასვლას გეგმავს. თუ უდინელები მუნტარის გაასხვისებენ, მის შემცვლელად ალბათ ემპოლელ სერჯიო ალმირონს შეიძენენ, რაც დაახლოებით 6 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 16:45 | 10 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.55 | 3.60 | 5.80 | 1.08 | 1.22 | 2.22 |
| 19:00 | 12 | ბლექბერნი-ფულჰემი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 19:00 | 13 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 19:00 | 14 | რედინგი-ბოლტონი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 19:00 | 15 | შეფილდი-ჩარლტონი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 19:00 | 16 | უიგანი-ლივერპული | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 21:15 | 17 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 19 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 20 | სიტი-უოტფორდი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 33 | ბირმინგემი-პლიმუთი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 19:00 | 34 | კარდიფი-კოლჩესტერი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 19:00 | 35 | ქოვენტრი-სტოკი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 36 | კრისტალ პალასი-ქპრ | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 37 | ჰალი-საუთჰემპტონი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 19:00 | 38 | იფსვიჩი-ბარნლი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 39 | ლიდსი-ბარნსლი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 19:00 | 40 | ლესტერი-უენსდი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 41 | ლუტონი-პრესტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 42 | საუთენდი-ვულვერჰემპტონი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 43 | სანდერლენდი-ნორვიჩი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 44 | ვესტ ბრომვიჩი-დერბი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 839 | როტერჰემი-იოვილი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 840 | აკრინგტონი-შრიუსბერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 46 | ალტრინჰემი-ბარტონი | 2.40 | 3.30 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 48 | დაგ ენდ რედი-საუთპორტი | 1.40 | 3.90 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.56 |
| 19:00 | 50 | ფორესტ გრინი-იორკი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 19:00 | 51 | გრეივსენდი-კიდერმინსტერი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 52 | ჰალიფაქსი-უოკინგი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 54 | სტივენეიჯი-ოქსფორდი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 56 | ვეიმუთი-გრეისი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 57 | სელტიკი-აბერდინი | 1.25 | 5.50 | 9.50 | 1.01 | 1.10 | 3.48 |
| 19:00 | 59 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 60 | ინვერნესი-მაზერველი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 19:00 | 61 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.57 | 3.50 | 5.50 | 1.08 | 1.22 | 2.13 |
| 19:00 | 62 | სტ.მირენი-ჰარტსი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 63 | ფოლკირკი-რეინჯერსი | 7.00 | 3.70 | 1.45 | 2.42 | 1.20 | 1.04 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 64 | კლაიდი-ეირდრი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 65 | დანდი-როსი | 1.95 | 3.30 | 3.35 | 1.22 | 1.23 | 1.66 |
| 19:00 | 66 | გრეტნა-სტ.ჯონსტონი | 1.60 | 3.60 | 4.70 | 1.10 | 1.19 | 2.03 |
| 19:00 | 67 | ჰამილტონი-ლივინგსტონი | 2.25 | 3.30 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 19:00 | 68 | პარტიკი-ქუინი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 69 | ალოა-რეითი | 2.20 | 3.40 | 2.70 | 1.33 | 1.21 | 1.50 |
| 19:00 | 70 | ეარი-ბრეჩინი | 2.20 | 3.40 | 2.70 | 1.33 | 1.21 | 1.50 |
| 19:00 | 71 | კოუდენბითი-სტრანრარი | 2.15 | 3.40 | 2.80 | 1.31 | 1.21 | 1.53 |
| 19:00 | 72 | მორტონი-ფორფარი | 1.28 | 5.00 | 7.50 | 1.01 | 1.09 | 3.00 |
| 19:00 | 73 | პიტერჰედი-სტირლინგი | 2.90 | 3.40 | 2.10 | 1.56 | 1.21 | 1.29 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 74 | ალბიონი-დამბარტონი | 2.85 | 3.40 | 2.10 | 1.55 | 1.20 | 1.29 |
| 19:00 | 75 | არბროთი-სტენჰაუსმუირი | 2.30 | 3.40 | 2.55 | 1.37 | 1.20 | 1.45 |
| 19:00 | 76 | ბერიკი-ელგინი | 1.45 | 3.90 | 5.50 | 1.05 | 1.14 | 2.28 |
| 19:00 | 77 | ისტ ფაიფი-ქუინზ პარკი | 2.10 | 3.40 | 2.90 | 1.29 | 1.21 | 1.56 |
| 19:00 | 78 | ისტ სტირლინგი-მონტროუზი | 2.45 | 3.50 | 2.35 | 1.44 | 1.19 | 1.40 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 79 | მაინცი-შტუტგარტი | 3.85 | 3.20 | 1.90 | 1.74 | 1.27 | 1.19 |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 81 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1.20 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| 18:30 | 83 | არმინია-ლევერკუზენი | 2.35 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.29 | 1.52 |
| 18:30 | 84 | ბოხუმი-ჰამბურგი | 2.85 | 3.20 | 2.35 | 1.50 | 1.28 | 1.35 |
| 18:30 | 85 | კოტბუსი -ჰანოვერი | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 18:30 | 86 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 18:30 | 87 | ვერდერი-ჰერტა | 1.60 | 3.60 | 5.40 | 1.10 | 1.23 | 2.15 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 88 | ალემანია-აინტრახტი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 20:00 | 89 | ნიურნბერგი-შალკე | 3.20 | 3.10 | 2.20 | 1.57 | 1.30 | 1.28 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 92 | კობლენცი-ჰანზა | 2.85 | 3.00 | 2.30 | 1.46 | 1.27 | 1.30 |
| 21:00 | 93 | პადერბორნი-ფრაიბურგი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 21:00 | 94 | ესენი-ფიურტი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 95 | ბრაუნშვაიგი-კაიზერსლაუტერნი | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 17:00 | 96 | კარლ ცაისი-ბურგჰაუზენი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 17:00 | 97 | კარლსრუე-აუე | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 17:00 | 98 | ოფენბახი-აუგსბურგი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 17:00 | 99 | უნტერჰახინგი-მიუნხენი 1860 | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 119 | გრაცერი-მატერსბურგი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 21:30 | 121 | რაპიდი-შტურმი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 21:30 | 122 | ზალცბურგი-ალტახი | 1.22 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.33 |
| 21:30 | 124 | ტიროლი-რიდი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 125 | პაშინგი-აუსტრია | 2.05 | 3.10 | 3.40 | 1.23 | 1.27 | 1.62 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:45 | 139 | სტ.გალენი-აარაუ | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 20:45 | 140 | თუნი-ციურიხი | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 141 | გრასჰოპერი-იანგ ბოისი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 19:00 | 142 | სიონი-შაფჰაუზენი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 143 | ბაზელი-ლუცერნი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 153 | ინტერი-სიენა | 1.20 | 5.40 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.81 |
| 23:30 | 155 | რომა-ატალანტა | 1.30 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.05 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 157 | კალიარი-მილანი | 4.30 | 3.20 | 1.85 | 1.83 | 1.29 | 1.17 |
| 18:00 | 159 | ფიორენტინა-ლაციო | 1.95 | 3.10 | 3.90 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 18:00 | 160 | ლივორნო-კიევო | 1.90 | 3.00 | 4.30 | 1.16 | 1.31 | 1.76 |
| 18:00 | 162 | მესინა-სამპდორია | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 18:00 | 163 | პარმა-პალერმო | 4.10 | 3.00 | 1.95 | 1.73 | 1.32 | 1.18 |
| 18:00 | 165 | ტორინო-ემპოლი | 2.05 | 3.00 | 3.65 | 1.21 | 1.31 | 1.64 |
| 18:00 | 166 | უდინეზე-რეჯინა | 1.85 | 3.00 | 4.60 | 1.14 | 1.31 | 1.81 |
| 23:30 | 167 | ასკოლი-კატანია | 2.55 | 2.90 | 2.85 | 1.35 | 1.34 | 1.43 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 169 | ჯენოა-იუვენტუსი | 4.50 | 2.90 | 1.85 | 1.76 | 1.31 | 1.12 |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 170 | ალბინოლეფე-ჩეზენა | 2.40 | 2.60 | 3.30 | 1.24 | 1.38 | 1.45 |
| 19:00 | 171 | არეცო-პესკარა | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| 19:00 | 172 | კროტონე-პიაჩენცა | 2.60 | 2.60 | 2.90 | 1.29 | 1.37 | 1.37 |
| 19:00 | 173 | მანტოვა-ბარი | 1.90 | 2.70 | 4.60 | 1.11 | 1.34 | 1.70 |
| 19:00 | 174 | მოდენა-ტრევიზო | 2.10 | 2.60 | 4.00 | 1.16 | 1.37 | 1.57 |
| 19:00 | 175 | ნაპოლი-ფროზინონე | 1.35 | 3.60 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.64 |
| 19:00 | 176 | რიმინი-ვიჩენცა | 1.45 | 3.40 | 8.00 | 1.01 | 1.22 | 2.38 |
| 19:00 | 177 | ტრიესტინა-სპეცია | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 19:00 | 178 | ვერონა-ბოლონია | 2.90 | 2.70 | 2.50 | 1.39 | 1.34 | 1.29 |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 179 | ლეჩე-ბრეშა | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 199 | ბეტისი-ატლეტიკო | 2.75 | 2.90 | 2.60 | 1.41 | 1.33 | 1.37 |
| 23:00 | 203 | ლევანტე-ბარსელონა | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 23:00 | 208 | უელვა-ვალენსია | 3.20 | 3.00 | 2.25 | 1.54 | 1.32 | 1.28 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 200 | ესპანიოლი-სევილია | 3.30 | 3.10 | 2.10 | 1.59 | 1.28 | 1.25 |
| 20:00 | 202 | დეპორტივო-რასინგი | 1.90 | 3.30 | 3.75 | 1.20 | 1.26 | 1.75 |
| 20:00 | 205 | მალიორკა-სელტა | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 22:00 | 206 | რეალი-ბილბაო | 1.22 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.46 |
| 20:00 | 209 | სოსიედადი-ხეტაფე | 2.45 | 3.10 | 2.80 | 1.36 | 1.30 | 1.47 |
| 20:00 | 210 | ვილიარეალი-ტარაგონა | 1.42 | 3.90 | 7.00 | 1.04 | 1.18 | 2.50 |
| 23:45 | 211 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 223 | ოსერი-ნიცა | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 23:00 | 224 | ლე მანი-ლიონი | 6.70 | 3.60 | 1.50 | 2.34 | 1.22 | 1.05 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 226 | ლანსი-ბორდო | 2.00 | 3.10 | 3.65 | 1.21 | 1.29 | 1.67 |
| 23:00 | 228 | მონაკო-ვალენსიენი | 1.70 | 3.30 | 5.10 | 1.12 | 1.27 | 2.00 |
| 23:00 | 229 | რენი-ნანტი | 1.85 | 3.10 | 4.40 | 1.15 | 1.30 | 1.81 |
| 23:00 | 230 | სედანი-ტრუა | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 23:00 | 231 | სოშო-მარსელი | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| 23:00 | 232 | სტ.ეტიენი-ლორიანი | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 233 | ნანსი-ლილი | 2.40 | 2.90 | 3.10 | 1.31 | 1.35 | 1.49 |
| 23:00 | 234 | პსჟ-ტულუზა | 2.00 | 3.00 | 4.00 | 1.20 | 1.33 | 1.71 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 245 | ბევერენი-ანდერლეხტი | 4.70 | 3.50 | 1.65 | 2.00 | 1.22 | 1.12 |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 247 | ბრიუსელი-შარლერუა | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 23:00 | 248 | სერკლი-ბეერსხოტი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 23:00 | 249 | გენკი-ლოკერენი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 23:00 | 251 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 23:00 | 252 | რუსელარე-მონსი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 23:00 | 253 | სტანდარდი-ვესტერლო | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 23:00 | 254 | ვარეგემი-მუსკრონი | 2.05 | 3.30 | 3.30 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 255 | ლირსი-ბრიუგე | 7.50 | 4.30 | 1.35 | 2.73 | 1.14 | 1.02 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:15 | 267 | ვალვაიკი-სპარტა | 2.15 | 3.30 | 2.95 | 1.30 | 1.24 | 1.55 |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 268 | დენ ჰააგი-ნაიმეგენი | 2.25 | 3.40 | 2.80 | 1.35 | 1.24 | 1.53 |
| 23:00 | 269 | ჰერაკლესი-როდა | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 23:00 | 270 | ვიტესი-პსვ | 5.70 | 3.80 | 1.50 | 2.27 | 1.18 | 1.07 |
| 22:30 | 277 | ბრედა-ტვენტე | 2.75 | 3.40 | 2.25 | 1.52 | 1.23 | 1.35 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 272 | აიაქსი-ტილბურგი | 1.15 | 6.00 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 4.19 |
| 17:30 | 274 | ალკმაარი-ექსელსიორი | 1.12 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.53 |
| 17:30 | 276 | ფეიენოორდი-ჰერენვენი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 17:30 | 278 | უტრეხტი-გრონინგენი | 2.05 | 3.30 | 3.25 | 1.26 | 1.25 | 1.63 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 291 | ამადორა-ნასიონალი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 20:00 | 292 | ავეში-ნავალი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 20:00 | 293 | ბეირა მარი-ბელენენსეში | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 20:00 | 294 | ბრაგა-აკადემიკა | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 20:00 | 295 | ლეირია-ფერეირა | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 20:00 | 296 | მარიტიმუ-სეტუბალი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 20:00 | 297 | პორტუ-ბოავიშტა | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 20:00 | 299 | სპორტინგი-ბენფიკა | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:45 | 308 | კერკირა-ოლიმპიაკოსი | 9.00 | 4.20 | 1.35 | 2.86 | 1.17 | 1.02 |
| 21:00 | 310 | აეკ-იონიკოსი | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 312 | ატრომიტოსი-კალამარია | 1.80 | 3.10 | 4.20 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| 17:00 | 314 | ოლიმპია-ერგოტელისი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 315 | ირაკლისი-ეგალეო | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 316 | ოფი-ქსანთი | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 21:00 | 317 | არისი-პანათინაიკოსი | 5.00 | 3.30 | 1.65 | 1.98 | 1.24 | 1.10 |
| 21:00 | 319 | პაოკ-პანიონიოსი | 1.50 | 3.60 | 6.20 | 1.05 | 1.20 | 2.27 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 331 | ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | [illegible] |
| 20:00 | 332 | სლოვაცკო-ზლინი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | [illegible] |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 333 | ბრნო-ტეპლიცე | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 20:00 | 334 | კლადნო-სპარტა | 4.70 | 3.30 | 1.65 | 1.93 | 1.22 | 1.10 |
| 20:00 | 335 | მოსტი-იაბლონეცი | 2.40 | 2.90 | 2.80 | 1.31 | 1.29 | 1.42 |
| 20:00 | 336 | პლზენი-პრიბრამი | 1.80 | 3.10 | 4.00 | 1.13 | 1.24 | 1.74 |
| 20:00 | 337 | სიგმა-ბოლესლავი | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 20:00 | 338 | სლავია-ბანიკი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 382 | აიაქსი-ესპანიოლი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 23:45 | 383 | ავსტრია-სპარტა(პ) | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 384 | სელტა-ფენერბაჩე | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 23:45 | 385 | აინტრახტი-ნიუკასლი | 1.75 | 3.40 | 4.40 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| 23:45 | 386 | ბოლესლავი-პსჟ | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 23:45 | 387 | ნანსი-ფეიენოორდი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 23:45 | 388 | პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ) | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 23:45 | 389 | ვისლა-ბაზელი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:55 | 399 | ბრიონდბიუ-ჰამარბი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 22:00 | 400 | აიკ-ვიბორგი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 22:30 | 401 | ლილესტრიომი-კოპენჰაგენი | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 551 | აიკ-ჰვ 71 | 2.50 | 4.10 | 1.95 | 1.55 | 1.09 | 1.32 |
| 22:00 | 552 | ფრიოლუნდა-იურგორდენი | 1.80 | 4.20 | 2.60 | 1.25 | 1.06 | 1.60 |
| 22:00 | 553 | ლულეო-ლინშოპინგი | 1.95 | 4.20 | 2.50 | 1.33 | 1.09 | 1.56 |
| 22:00 | 554 | მალმიო-ბრიუნესი | 2.30 | 4.20 | 2.10 | 1.48 | 1.09 | 1.39 |
| 22:00 | 555 | მოდო-ტიმრე | 2.05 | 4.10 | 2.40 | 1.36 | 1.10 | 1.51 |
| 22:00 | 556 | მორა-ფერიესტადი | 2.40 | 4.10 | 1.90 | 1.51 | 1.06 | 1.29 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 575 | ესპოო-ესეტი | 1.40 | 4.40 | 4.00 | 1.06 | 1.03 | 2.09 |
| 20:30 | 576 | ილვესი-ჰელსინკი | 2.05 | 4.00 | 2.30 | 1.35 | 1.08 | 1.46 |
| 20:30 | 577 | კალპა-ტაპარა | 2.85 | 4.10 | 1.70 | 1.68 | 1.06 | 1.20 |
| 20:30 | 578 | კერპეტი-ლუკო | 1.35 | 4.50 | 5.00 | 1.03 | 1.06 | 2.36 |
| 20:30 | 579 | პელიკანსი-ტურკუ | 2.15 | 4.00 | 2.30 | 1.39 | 1.11 | 1.46 |
| 20:30 | 580 | სეიპა-იუვესკიულე | 1.80 | 4.20 | 2.50 | 1.25 | 1.04 | 1.56 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 581 | იოკერიტი-ჰამეენლინა | 2.00 | 4.00 | 2.35 | 1.33 | 1.08 | 1.48 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 829 | ენერგია-ლე მანი | 1.55 | 12.00 | 2.25 | 1.37 | 1.00 | 1.89 |
| 22:45 | 832 | პროკომი-ტაუ | 2.80 | 12.00 | 1.35 | 2.27 | 1.00 | 1.21 |
| 22:45 | 833 | არისი-ჟალგირისი | 1.45 | 12.00 | 2.30 | 1.29 | 1.00 | 1.93 |
| 22:45 | 834 | ოლიმპიაკოსი-დინამო | 1.15 | 12.00 | 4.00 | 1.04 | 1.00 | 3.00 |
| 22:45 | 835 | მაკაბი-უნ ოლიმპია | 1.05 | 12.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| 23:45 | 836 | პაუ-ბენეტონი | 1.65 | 12.00 | 1.90 | 1.45 | 1.00 | 1.64 |
| 23:45 | 837 | ნაპოლი-ულქერი | 1.45 | 12.00 | 2.35 | 1.29 | 1.00 | 1.96 |
| 23:45 | 838 | ხუვენტუდი-ციბონა | 1.30 | 12.00 | 3.10 | 1.17 | 1.00 | 2.46 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 391 | კიევო-რეჯინა | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 23:45 | 395 | პალერმო-სამპდორია | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10382 | აიაქსი-ესპანიოლი | 2.20 | 2.10 | 5.00 | 1.07 | 1.52 | 1.47 |
| 10383 | ავსტრია-სპარტა(პ) | 2.75 | 2.00 | 3.50 | 1.15 | 1.53 | 1.27 |
| 10384 | სელტა-ფენერბაჩე | 2.25 | 2.10 | 4.70 | 1.08 | 1.52 | 1.45 |
| 10385 | აინტრახტი-ნიუკასლი | 2.30 | 2.10 | 4.95 | 1.09 | 1.57 | 1.47 |
| 10386 | ბოლესლავი-პსჟ | 3.00 | 2.00 | 3.20 | 1.20 | 1.54 | 1.23 |
| 10387 | ნანსი-ფეიენოორდი | 2.50 | 2.00 | 4.20 | 1.11 | 1.56 | 1.35 |
| 10388 | პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ) | 2.15 | 2.00 | 5.20 | 1.03 | 1.52 | 1.44 |
| 10389 | ვისლა-ბაზელი | 2.90 | 2.00 | 3.30 | 1.18 | 1.54 | 1.24 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11382 | აიაქსი-ესპანიოლი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11383 | ავსტრია-სპარტა(პ) | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11384 | სელტა-ფენერბაჩე | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11385 | აინტრახტი-ნიუკასლი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11386 | ბოლესლავი-პსჟ | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11387 | ნანსი-ფეიენოორდი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11388 | პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ) | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11389 | ვისლა-ბაზელი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12382 | აიაქსი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12383 | ავსტრია-სპარტა(პ) | 1.70 | 1.90 |
| 12384 | სელტა-ფენერბაჩე | 1.60 | 2.00 |
| 12385 | აინტრახტი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12386 | ბოლესლავი-პსჟ | 1.60 | 2.00 |
| 12387 | ნანსი-ფეიენოორდი | 1.60 | 2.00 |
| 12388 | პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ) | 1.70 | 1.90 |
| 12389 | ვისლა-ბაზელი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13382 | აიაქსი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13383 | ავსტრია-სპარტა(პ) | 1.70 | 1.90 |
| 13384 | სელტა-ფენერბაჩე | 1.70 | 1.90 |
| 13385 | აინტრახტი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13386 | ბოლესლავი-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13387 | ნანსი-ფეიენოორდი | 1.70 | 1.90 |
| 13388 | პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ) | 1.70 | 1.90 |
| 13389 | ვისლა-ბაზელი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14382 | აიაქსი-ესპანიოლი | 1.40 | 2.40 |
| 14383 | ავსტრია-სპარტა(პ) | 1.80 | 2.00 |
| 14384 | სელტა-ფენერბაჩე | 1.60 | 2.30 |
| 14385 | აინტრახტი-ნიუკასლი | 1.40 | 2.40 |
| 14386 | ბოლესლავი-პსჟ | 1.80 | 1.90 |
| 14387 | ნანსი-ფეიენოორდი | 1.65 | 2.20 |
| 14388 | პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ) | 1.40 | 2.40 |
| 14389 | ვისლა-ბაზელი | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15382 | აიაქსი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15383 | ავსტრია-სპარტა(პ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15384 | სელტა-ფენერბაჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15385 | აინტრახტი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15386 | ბოლესლავი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15387 | ნანსი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15388 | პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15389 | ვისლა-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16382 | აიაქსი-ესპანიოლი | 1.30 | 2.80 |
| 16383 | ავსტრია-სპარტა(პ) | 1.60 | 2.00 |
| 16384 | სელტა-ფენერბაჩე | 1.35 | 2.60 |
| 16385 | აინტრახტი-ნიუკასლი | 1.30 | 2.90 |
| 16386 | ბოლესლავი-პსჟ | 1.60 | 1.90 |
| 16387 | ნანსი-ფეიენოორდი | 1.42 | 2.40 |
| 16388 | პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ) | 1.22 | 3.40 |
| 16389 | ვისლა-ბაზელი | 1.60 | 2.00 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17382 | აიაქსი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17383 | ავსტრია-სპარტა(პ) | 1.85 | 1.95 |
| 17384 | სელტა-ფენერბაჩე | 1.85 | 1.95 |
| 17385 | აინტრახტი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17386 | ბოლესლავი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17387 | ნანსი-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 17388 | პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ) | 1.85 | 1.95 |
| 17389 | ვისლა-ბაზელი | 1.85 | 1.95 |

# ფრთხილად დაიწყეს, თამამად დაასრულეს

## ვლადიმერ ბოისას უკალათო კალათბურთი


ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც კი თამაშობს, ყველა ტურნირში პირველია ვლადიმერ ბოისას „სიენა". იტალიის ჩემპიონატის გასულ ტურში სიენელები პირველობის მოცილე „ვიდივიცის" შეხვდნენ და გამარჯვებით სერია A-ს ერთპიროვნული ლიდერობა დაიბევეს, სამშაბათს კი ულებ-ის თასზეც იძალეს და C ჯგუფში გაპირველდნენ.

სიენელები ბელგიაში ეთამაშებოდნენ იქაურ „ოსტენდეს" და სანამ მატჩი დაიწყებოდა, ცოტა დამფრთხალნი იყვნენ. ბელგიელებმა წინა ტურში იერუსალიმში „ჰაპოელი" დაამარცხეს, ხოლო „სიენას" ერთადერთი წაგება სწორედ ისრაელში შეემთხვა და...

„მათ იერუსალიმში მოიგეს და ჩვენც ვნერვიულობდით, „ოსტენდეს" როგორც ყველაზე საშიშ მეტოქეს, ისე ვუყურებდით" — თქვა სიენელთა თავკაცმა სიმონე პიანიჯანიმ.

ჰოდა, იტალიელებმაც თამაში ფრთხილად დაიწყეს და პირველმა ტაიმმა თითქმის ვერაფერი გაარკვია — „სიენა" 33:31 იგებდა. გარდამტეხი გამოდგა მესამე მეოთხედი, რომელშიც სტუმრებმა ჯერ 10-მდე გაზარდეს უპირატესობა და როცა ბელგიელები დაიღალნენ, სიენელებმა გადამწყვეტი ათწუთეულის წინ, გამარჯვება თითქმის გაინაღდეს — 64:49.

„ამ მატჩში მთავარი იყო მესამე მეოთხედი, როცა ჩემმა გუნდმა მოახერხა, მწყობრი დაცვიდან შეტევაზე თამამად გადასულიყო — ესეც პიანიჯანის სიტყვებია, ვისმა გუნდმაც თამაში 82:69 მოიგო — პირველ ტაიმში მეტოქეს მხოლოდ 31 ქულა ჩავაგდებინეთ, რაც შესანიშნავი შედეგია. მეორეში უკვე შეტევასაც მივხედეთ და ბოლო შესვენებაზე გულდამშვიდებულები გავედით."

ეტყობა, ვლადიმერ ბოისაც დაცვით იყო დაკავებული და ამიტომ ვერ დააგროვა ქულები. არადა, ვოვა 17 წუთი იმყოფებოდა მოედანზე და შეეძლო, შეტევაშიც გამოეჩინა თავი, მაგრამ... საინტერესო ისაა, რომ ბოისას კალათისკენ ერთხელაც არ უსვრია ბურთი — მის ანგარიშზე მხოლოდ 3 მოხსნა დაგროვდა.

ამ გამარჯვებამ სიენელები C ჯგუფში ერთპიროვნულად გაალიდერა და ჯგუფიდან გასვლა თითქმის გაუნაღდა. სასწაული უნდა მოხდეს, პირველ ადგილზე მყოფმა „სიენამ" მეორე წრეში იმდენი ქნას, რომ ოთხეულშიც ვერ მოხვდეს.

სამშაბათს, ოღონდ ევროთასად წოდებულ ტურნირზე ითამაშა ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესმა", რომელმაც შინ დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა რუმინული „პლოეშტი". სამწუხაროდ, ქართველ ფორვარდს არ უთამაშია, მის თანაგუნდელებს კი რუმინელების გასატეხად დამატებითი დრო დასჭირდათ.

„სიენას" დარად, „ესტუდიანტესიც" ჯგუფის ლიდერია — სანიკიძის გუნდმა ოთხიდან ოთხივე მატჩი მოიგო.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




ზაზა ფაჩულია იტან ტომასმა ვერ შეაჩერა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 5 | 8 | 38,5 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 9 | 35,7 |
| ტორონტო | 5 | 9 | 35,7 |
| ფილადელფია | 5 | 9 | 35,7 |
| ნიუ იორკი | 5 | 11 | 31,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 9 | 5 | 64,3 |
| კლივლენდი | 9 | 5 | 64,3 |
| ინდიანა | 8 | 7 | 53,3 |
| ჩიკაგო | 5 | 9 | 35,7 |
| მილუოკი | 5 | 9 | 35,7 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 11 | 4 | 73,3 |
| მაიამი | 6 | 8 | 42,9 |
| ატლანტა | 5 | 7 | 41,7 |
| ვაშინგტონი | 5 | 9 | 35,7 |
| შარლოტი | 4 | 10 | 28,6 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 11 | 4 | 73,3 |
| ჰიუსტონი | 10 | 4 | 71,4 |
| დალასი | 10 | 4 | 71,4 |
| ნიუ ორლეანი | 8 | 7 | 53,3 |
| მემფისი | 4 | 10 | 28,6 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 12 | 3 | 80,0 |
| დენვერი | 8 | 5 | 61,5 |
| მინესოტა | 6 | 8 | 42,9 |
| სიეტლი | 6 | 9 | 40,0 |
| პორტლენდი | 6 | 10 | 37,5 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 9 | 5 | 64,3 |
| საკრამენტო | 8 | 5 | 61,5 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 6 | 60,0 |
| ფინიქსი | 7 | 6 | 53,8 |
| კლიპერსი | 6 | 7 | 46,2 |

# ბატლერი ვაშინგტონის კარგი ტონია

28 ნოემბერი

**ვაშინგტონი 96:95 ატლანტა**

**ვაშინგტონი:** არენასი (21), სტივენსონი (7), ბატლერი (21), ჯემისონი (18), ტომასი (6); ჰეიესი (9), ჰეივუდი (8), დანიელსი (4), ტეილორი (2)

**ატლანტა:** კლაქსტონი (2), ჯონსონი (33 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა), სმიტი (9), უილიამსი (9), **ფაჩულია** (25 წუთი, 8 ქულა, 14 მოხსნა, 4 პასი); ლუ (18), სტუდემაიერი (8), ფრეი (6), რაიტი (2), ჯონსი, ბოზმანი

**ნიუ ჯერსი 92:96 შარლოტი**

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (27), კარტერი (25), კრსტიჩი (20)

**შარლოტი:** მორისონი (22), მეი (20)

**ნიუ ორლეანი 77:94 ტორონტო**

**ნიუ ორლეანი:** პოლი (16 ქულა, 11 პასი), ბატლერი (13)

**ტორონტო:** ბოში (19 ქულა, 14 მოხსნა), პარკერი (19), ბარნანი (16)

**ჰიუსტონი 82:75 მინესოტა**

**ჰიუსტონი:** მინი (25 ქულა, 10 მოხსნა), ბეტიე (16)

**მინესოტა:** გარნეტი (25 ქულა, 11 მოხსნა)

**ჩიკაგო 102:85 ნიუ იორკი**

**ჩიკაგო:** გორდონი (23), დუპონი (18), ბრაუნი (14)

**ნიუ იორკი:** კერი (24), ლი (14 ქულა, 11 მოხსნა), ფრენსისი (14)

**დენვერი 96:108 მემფისი**

**დენვერი:** ენტონი (33 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), კემბი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**მემფისი:** უორიკი (25), ეტკინსი (22), რობერტსი (16), მილერი (13 ქულა, 14 პასი, 7 მოხსნა)

**პორტლენდი 97:105 ინდიანა**

**პორტლენდი:** რენდოლფი (30 ქულა, 11 მოხსნა), ჯეკი (21)

**ინდიანა:** გრეინჯერი (21), ონილი (20), იასიკევიჩუსი (17), ჰარინგტონი (17)

**საკრამენტო 93:80 კლიპერსი**

**საკრამენტო:** არტესტი (28), ბიბი (19 ქულა, 10 პასი)

**კლიპერსი:** ლივინგსტონი (20), მობლი (16), ბრენდი (13 ქულა, 18 მოხსნა)

**ლეიკერსი 105:109 მილუოკი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (27), ოდომი (21 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი)

**მილუოკი:** რედი (45), უილიამსი (22)

„ატლანტა ჰოქსი" თამაშიდან თამაშამდე თმობს პოზიციებს სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში. „ქორებმა" ბოლო 7 შეხვედრაში 6 წააგეს და ცხრილის პირველი საფეხურიდან მესამეზე ჩამოქვეითდნენ. სამშაბათს დედაქალაქში იქაური „ვიზარდისთვის" რომ მოეგოთ — ვინაც ასევე მათი თანადივიზიონელი და უშუალო კონკურენტი გახლავთ — მეორე ადგილს და ჩემპიონ „მაიამიზე" ზეობას შეინარჩუნებდნენ, თუმც რამდენიმე დღის წინ მასთანაც ხომ წააგეს.

„ვაშინგტონთან" დაძაბული შეხვედრის ბედი ბოლოსკენ გადაწყდა, როცა სირენამდე წუთით ადრე მასპინძელთა ფრთა კერონ ბატლერმა ერთ შეტევაში სამი ქულა გაჩარხა. სულ თამაშში ბატლერმა 21 ქულიდან 15 საჯარიმოებით მიითვალა ისე, რომ ერთიც არ აუცილებია. საერთოდ მას 7 ნოემბრის შემდეგ ზედიზედ 32 საჯარიმო ტყორცნა არ გაუცუდებია. და ერთიც: ბატლერი „ვიზარდსში" ერთადერთი მოთამაშეა, წლეულს ყველა თამაშში მინიმუმ 10 ქულა რომ აქვს გაკეთებული და „ვაშინგტონს" ლიდერ ჯილბერტ არენასის უხეირო გარჯას მხოლოდ ის თუ უკომპენსირებს.

„ატლანტას" ჩვენებურმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ სწრაფად აკრეფილი პერსონალურების გამო მხოლოდ 25 წუთი დაჰყო მოედანზე და შეხვედრა 8 ქულით დაასრულა. მაგრამ, სამაგიეროდ, ამ მოკლე ხანში ზაზამ 14 ბურთის მოხსნა მოასწრო და აქედან ნახევარი მეტოქის ფარზე მოიპოვა. მას ამ სეზონში ამდენი ბურთი არც მთლიანობაში და არც მეტოქის ფარზე არ მოუხსნია.

საინტერესო გამოდგა „მილუოკის" სტუმრობა ლოს ანჯელესში იქაურ „ლეიკერსთან". მაყურებლის მოლოდინი არ გამართლდა და ლიგის ორი ყოჩაღი მექულის — მილუოკელი მაიკლ რედისა და ლეიკერსელი კობი ბრაიანტის დუელი არ შედგა, რედმა იოლად აჯობა კობის, რომელმაც წინა სეზონში მიღებული ტრავმის გამო იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა, შემდეგ კი ოპერაცია გაიკეთა და ჯერაც ვერაა 100 პროცენტით ფორმაში, წინა სეზონისებრი სიუხვით ველარ იხვეჭს ქულებს. სამაგიეროდ, რედი გაკაპასდა. მიმდინარე რეგულარულში ჯერჯერობით მისია საყოველთაო რეკორდი — 57 ქულა.

მილუოკელ ბომდამშენს არც ამჯერად დაუშალითებია თავისი ყუმბარმტყორცნი — თამაშში 30 ტყორცნიდან 16 ჩააგდო, 10 საჯარიმოდან 8 გამოიყენა და 45 ქულა დააგროვა. კობი კი სადღაც უკან დარჩა და მისმა „ლეიკერსმაც" ვეღარ წაართვა მოგება ძალზე აგრესიულად შემტევ „მილუოკის".

სულ დაყვინთა ჯეისონ კიდის და ვინს კარტერის „ნიუ ჯერსიმ". 2002 და 2003 წლების პლეი ოფების ფინალისტებს ფორვარდი რიჩი ჯეფერსონი კი გამოუჯანმრთელდათ და მისგან 27-ქულიანი შემწეობაც მიიღეს, მაგრამ გაცილებით სუსტ „შარლოტთანაც" კი ვერას გახდნენ, ზედიზედ მე-6 თამაშიც წააგეს და ატლანტიკის დივიზიონში ლიდერის დროშა არანაკლებ უხეირო „ბოსტონს" გადაულოცეს.

პირიქით, სიცოცხლის ნიშანი დაეტყო „ჩიკაგოს", რომელიც სეზონის წინ ბენ ვოლესის შემატებით გვარიანად კი მოძლიერდა, მაგრამ რაღაც სასწაულით მაინც იმდენი თამაში წააგო, რომ ხალხი ფავორიტობაში დააეჭვა. ამჯერად „ჩიკაგოს" უკბილო „ნიუ იორკი" ემსხვერპლა.

**კოტე ყორშია**

# შეკრება ჩაიშალა, ერევანი არა
## ახალი სეზონი გურჯაანში დაიწყება

7-10 დეკემბერს ერევანი კრივში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს და მასში საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. სეზონის ბოლო შეჯიბრის წინ ქართული გუნდი თბილისში ამ დღეებში უნდა შეკრებილიყო, მაგრამ კრივის ფედერაციამ პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალა. ნაკრების წევრები ცალ-ცალკე მოემზადებიან და სომხეთში წასვლის წინ გაერთიანდებიან. ინფორმაცია გუშინ ნაკრები გუნდების უფროსმა **თამაზ ქართველიშვილმა** მოგვაწოდა

— ერევნული ტურნირისწინა შეკრების ჩაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფინანსებია. მოგეხსენებათ, ახალი ხელმძღვანელობა ფედერაციაში რამდენიმე თვის წინ მოვიდა. იმ დროს წლის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებული იყო. სამწუხაროდ, ის ბიუჯეტი კარგა ხნის წინ ამოიწურა.

**— ერევანში ნაკრების გამგზავრებაც საფრთხის წინაშეა?**

— ამ მხრივ პრობლემა ნამდვილად არ შეიქმნება. სომხეთში გუნდის გასამგზავრებელი ხარჯები აუცილებლად გამოიძებნება. თან აქვე გეტყვით, რომ სრული შემადგენლობა გვეყოლება. ხუთი მოკრივის მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯებს ორგანიზატორები დაფარავენ, დანარჩენი ექვსისას — ფედერაცია.

**— როდის წავა გუნდი?**

— 6 დეკემბერს. ტურნირი კი 7-10 დეკემბერს ჩატარდება. გამგზავრებამდე ნაკრების წევრები ინდივიდუალურად ივარჯიშებენ.

**— შემადგენლობა როდის გახდება ცნობილი?**

— დეკემბრის პირველ რიცხვებში.

**— საკრივო სეზონი ერევნული შეჯიბრით სრულდება?**

— ძირითადი ნაკრებისთვის. ახალგაზრდული გუნდი კი შვიდკაციანი შემადგენლობით 12 დეკემბერს ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრება. დეკემბრის ბოლოს უკვე 2007 წლის ბიუჯეტიც დამტკიცდება და წინასწარვე გვეცოდინება, რომელ შეჯიბრზე რამდენკაციანი გუნდი წავა, ანალოგიური პრობლემები რომ აღარ შეგვექმნას.

**— მომავალ წელს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების გაცემა იწყება...**

— პირველი სალიცენზიო ტურნირი სექტემბერში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატია. მას მოსკოვი უმასპინძლებს. მსოფლიოზე წამსვლელი ნაკრები საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება. 16-20 იანვარს გურჯაანში სწორედ ამ ტურნირით გაიხსნება მომავალი სეზონი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# კუპატაძე მძიმდება



მოკრივეთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, ევროპის პრიზიორი კონსტანტინე კუპატაძე წონას იცვლის. პეკინის ოლიმპიადის საგზურისთვის იგი 60-ის ნაცვლად 64 კილოგრამში იკრივებს.

„თუ საშუალება მომეცემა, ახალ წონით კატეგორიაში სომხურ ტურნირზევე ვცდი ბედს. მომავალი წლიდან კი 64 კილოგრამში დასამკვიდრებლად თავს არ დავზოგავ. მიზანი, რა თქმა უნდა, ოლიმპიური ლიცენზიაა“ — გვითხრა კუპატაძემ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ბარერას რევანში სწყურია

**WBC-ს ვერსიით,** ჩემპიონ მარკო ანტონიო ბარერას დიდი იმედი აქვს, რომ მომავალი წლის მარტში ფილიპინელ მენი პაკიაოსთან რინგზე გასვლას შეძლებს. რატომ მაინცდამაინც ფილიპინელი? იმიტომ, რომ 2003 წელს ბარერა სწორედ პაკიაომ გალახა და მექსიკელს ახლა რევანში სწყურია. მაგრამ ამ ბრძოლის გამართვა საეჭვოა, რადგან პაკიაოს ჯერაც ვერ გაურკვევია საქმეები საკუთარ პრომოუტერებთან — ბობ არუმსა და ოსკარ დე ლა ჰოიასთან. ორივეს ხელთ აქვს პაკიაოსთან გაფორმებული კონტრაქტი და ახლა სასამართლოში მოუწევთ იმის გარკვევა, ფილიპინელის ბრძოლების მოწყობის უფლება რომელს აქვს.




„იმედი მაქვს, პაკიაო ამ პრობლემის დროზე მოაგვარებს, რომ 11 მარტს სწორედ მასთან ვიჩხუბო. უახლოეს დღეებში შევხვდები ჩემს პრომოუტერ ოსკარ დე ლა ჰოიას და მისგან გავიგებ მორიგი ოპონენტის ვინაობას. იმედი მაქვს, ეს ფილიპინელი იქნება“ — განაცხადა ბარერამ.

ამასობაში პაკიაოს მწვრთნელმა ფრედი როუჩმა ოსკარ დე ლა ჰოიას კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

„იურისტი არ ვარ, მაგრამ მგონია, რომ ოსკარის კომპანიას პაკიაოზე უფლებები აქვს, რადგან მენისთან კონტრაქტი უფრო ადრე გააფორმა. გარდა ამისა, დე ლა ჰოიას კომპანიას სწორედ იმ მოკრივეებზე აქვს უფლებები, ვისთანაც ჩვენ ვისურვებდით შეხვედრას“.

ფილიპინელისთვის სასურველი მოკრივეებზე საუბრისას როუჩს მხედველობაში WBO-ს ვერსიით ჩემპიონი პირველ საშუალო წონაში ხოან გუზმანი, WBO-ს ვერსიით დროებითი ჩემპიონი ნახევრადსაშუალო წონაში ხუან მანუელ მარკესი და, რა თქმა უნდა, ბარერა ჰყავდა.

**კახა ლომაშვილი**



## მსოფლიოს ჩემპიონატი.
### იაპონია. 17 ნოემბერი – 3 დეკემბერი




| E ჯგუფი | F ჯგუფი |
|---|---|
| ტუნისი 3:2 პუერტო რიკო | ბრაზილია 3:1 ბულგარეთი |
| 38:40 28:26 16:25 25:22 15:11 | 25:22 20:25 25:22 25:16 |
| კანადა 3:2 არგენტინა | საფრანგეთი 3:2 იტალია |
| 25:19 25:18 21:25 20:25 15:13 | 25:23 25:17 17:25 23:25 15:10 |
| რუსეთი 3:0 იაპონია | ჩეხეთი 3:1 გერმანია |
| 25:20 25:18 25:20 | 25:23 25:27 25:21 25:13 |
| პოლონეთი 3:0 სერბეთი | აშშ 3:0 კუბა |
| 28:26 25:19 25:19 | 25:22 25:17 25:22 |
| *პოლონეთი 14 ქულა; სერბეთი 13; რუსეთი 12; იაპონია 11; პუერტო რიკო 9; კანადა 9; არგენტინა & ტუნისი 8* | *ბრაზილია 13ქულა; ბულგარეთი 13; საფრანგეთი 12; იტალია 11; აშშ 10; გერმანია 9; ჩეხეთი & კუბა 8* |

# ბრაზილია და სლავური ტრიო

პოლონეთი, სერბეთი, ბულგარეთი — ამ სამეულს გუშინ ბრაზილიაც მიემატა. შედეგად ჩემპიონატის მედლებს სწორედ ეს სლავური ტრიო და სამხრეთამერიკელები გაითამაშებენ.

ბრაზილიელებმა ნახევარფინალის საგზური საუკეთესო ოთხეულში უკვე მოხვედრილი ბულგარელების დამარცხებით გაინაღდეს. შეიძლება, ეს ფინალის რეპეტიციაც იყო — ნახევარფინალებში ფავორიტები სწორედ ეს ნაკრებები არიან. მოქმედმა ჩემპიონმა ბრაზილიელებმა საფრანგეთთან მარცხის შემდეგ ჩვეული ლაღი ფრენბურთი ითამაშეს და მეორე ჯგუფურ ეტაპზე კინკილა სეტი წააგეს — ყოველივე ამის შემდეგ ისინი კვლავაც უპირველეს ფავორიტებად მიიჩნევიან.

გუშინ კი იმის მცირე შანსი არსებობდა, რომ სამხრეთამერიკელები ჯგუფში ჩარჩენილიყვნენ, მაგრამ ამის ცოტას თუ სჯეროდა — ბრაზილიას უმოტივაციო ბულგარეთთან უნდა წაეგო, ხოლო იტალიას საფრანგეთთან.

გალებმა თავიანთი საქმე კი გააკეთეს, მაგრამ... ბულგარელებმა უბრალოდ, თავი აღარ შეაკლეს ძლიერ მეტოქეს, ყველა ლიდერი დაასვენეს და სამხრეთამერიკელთა ძლიერი თუ სუსტი მხარეები მეორე შემადგენლობით შეამოწმეს. მეორეს მხრივ, არც ბრაზილიელბს მოუკლავთ თავი — მხოლოდ ჟიამ (22 ქულა) იყოჩაღა.

საფრანგეთი — იტალია კი მართლაც ლამაზი და დაძაბული სანახაობა გამოვიდა. ევროპელებმა ერთმანეთი არ დაინდეს და ხუთი სეტი იომეს, სადაც უფრო იღბლიანი გალები აღმოჩნდნენ. ერთი ეგაა, რომ ფრანგებმა კინაღამ გუშინწინდელი შეცდომა გაიმეორეს და ორსეტიანი უპირატესობა გაანიავეს. მაგრამ ამჯერად მხოლოდ კინაღამ და მანამდეც დიდებულად მოთამაშე ფრანც გრანვორკასა და გიომ სამიკას (18-18 ქულა) თავგამოდებით ეს შეხვედრა მაინც მოიგეს.

ისე, ფრანგები ნახევრფინალში რომ ვერ გავიდნენ, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რადგან პირველ ჯგუფურ ეტაპზე არც ისე ძლიერ გერმანიათან უაზროდ დამარცხდნენ. ამასთანავე ბულგარეთთან თითქმის მოგებული შეხვედრა წააგეს და ახლა დაგეგმილზე ადრე მოუწევთ იაპონიის დატოვება.

E ჯგუფში უკვე ნახევარფინალისტების პოლონეთისა და სერბეთის ჯახში ჯახი სულაც არ ყოფილა. ამ თამაშს სერიოზულად მხოლოდ პოლონელები მიუდგნენ და ჯერჯერობით კვლავ დაუმარცხებელნი არიან. სერბებმა კი გასეირნება მოიწყვეს და ეს პრაქტიკული გათვლითაც გააკეთეს — ბალკანელებს იმედი ჰქონდათ, რომ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავებით ნახევარფინალში ბრაზილიას ასცდებოდნენ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. სამხრეთამერიკელებს სეტების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდათ და F ჯგუფში პირველობაც მათ დარჩათ.

ასე რომ, ერთ ნახევარფინალში ორი უკანასკნელი ოლიმპიური ჩემპიონი — ბრაზილია და სერბეთი დაეტაკება ერთმანეთს, მეორე ფინალისტის ვინაობას კი პოლონეთი და ბულგარეთი გაარკვევენ.

**კახა ლომაშვილი**

# ელენა დოკიჩი: მამაჩემი უბერავს



**ᲐᲗᲘᲝᲓᲔ** დღის წინ სერბულ პრესაში გავრცელდა სენსაციური ინფორმაცია ახლო წარსულში WTA-ს რეიტინგის ტოპათეულის წევრის ელენა დოკიჩის მოტაცების შესახებ. თუმცა, შემდეგ ამის შესახებ ალარაფერი თქმულა, რის გამოც ამ ინფორმაციის სიმართლეში ბევრს ეჭვი შეეპარა.

სკეპტიკოსები მართალი ყოფილან და ეს თვითონ დოკიჩმა დაადასტურა, გავრცელებული ცრუ ინფორმაცია კი მამას დააბრალა.

„რა თქმა უნდა, არავის მოვუტაცებივარ. დიდი სისულელეა. ყველაფერი მამაჩემმა გამოიგონა. უკანასკნელი წლების განმავლობაში მისგან რა არ მომისმენია, მაგრამ ახლა საკუთარ თავსაც გადააჭარბა“.

ისე, დოკიჩის მამა მართლაც საკმაოდ უცნაური ადამიანია და თავი არაერთხელ უსახელია სხვადასხვა სისულელეებით — ინტერვიუზე მისული ჟურნალისტების ცემიდან დაწყებული, საკუთარი ქალიშვილის სახალხო ლანძღვით დამთავრებული. ბოლო ხანებში კი ამ პიროვნებას სულაც დაუკარგავს კონტროლი თავის თავზე, რისი მიზეზიც ელენას მამის ზედამხედველობიდან გამოსვლაა.

სინამდვილეში დოკიჩი მხოლოდ მეგობარ თინა ბიკიჩთან ერთად დასასვენებლად ყოფილა წასული.

შეგახსენებთ, რომ ერთ დროს უნიჭიერესი დოკიჩი ბოლო წლებია, ტრავმებმა ძალიან გააწამა და ახლა რეიტინგში 583-ე საფეხურზე იმყოფება. ხორვატიაში დაბადებული ელენა სერბეთის სახელით გამოდიოდა, მაგრამ შემდეგ ავსტრალიაში გადავიდა საცხოვრებლად, მერე ისევ სამშობლოში დაბრუნდა და შარშან კი გულმა კვლავ ავსტრალიისკენ გაუწია და იქაური მოქალაქეობაც მიიღო.

ახლა დოკიჩი დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას ცდილობს და ამისთვის ნიკი პილიჩის ცნობილ აკადემიაში ვარჯიშობს.

„ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და შემიძლია პირველ ათეულში თუ არა, ორმოცდაათ საუკეთესოში დაბურნება. ამიტომ ახლა ასეთი სკანდალები არაფერში მჭირდება და გთხოვთ, ამ ამბავს კუდს ნუღარ გამოაბავთ“.

**ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲫᲔ**

# ქართველები ჭერქვეშეთში

**ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ** ქალაქ ვენდრინის ჭერქვეშა ჰარდზე ITF-ის ეგიდით კაცთა 15 ათასიანი ტურნირი დაიწყო და მასში საქართველოს მეორე ჩოგანი ლადო ჩიხლაძეც ითამაშებს. ლადო ძირითად ბადეშია და პირველ წრეში კვალიფიკაციიდან წამოსულ სლოვაკ ფილიპ პოლაშეკს შეხვდება, ვინც 21 წლის გახლავთ და ATP-ის რეიტინგში 649-ე პოზიცია უჭირავს.

თუ სლოვაკურ ბარიერს დაძლევს, მეორე წრეში ქართველის მეტოქე ან პირველ ნომრად განთესილი ბრიტანელი ჯოშუა გუდელი იქნება, ანაც მასპინძელი იან მარეკი.

ამასობაში, მილანში, ასევე ჭერქვეშ, ოლონდაც ხალიჩაზე მიმდინარე ქალთა 50 ათასიანი ტურნირის პირველ წრეში მაკა ჩახნაშვილმა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში 6:7 6:4 6:3 სძლია ქალთა კლასიფიკაციის 177-ე ნომერს, 21 წლის ჩეხ ლუსი ჰრადეცკას და ახლა იტალიელ კარინ კნაპის შეხვდება, რომელმაც 6:3 6:4 მოუგო მე-6 ნომრად განთესილ გერმანელს სანდრა კლოსელს.

კიდევ ერთი ქართველი, მანანა შაფაქიძე, ამ დღეებში ისრაელში,




ტელ ავივის 10 ათასიან ტურნირზე თამაშობს. ძირითად ბადეში ასპარეზობის უფლება მანანამ საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებით მოიპოვა და პირველ წრეში მეხუთე ნომრად განთესილ პორტუგალიელ ნურია სილვას დაუპირისპირდება.

# რიოსი ბრუნდება... დროებით

მსოფლიოს ექსპირველი ჩოგანი, ჩილელი მარსელო რიოსი დიდ ჩოგბურთში ბრუნდება. მაგრამ დროებით — ის მხოლოდ იანვარში გასამართ მშობლიური ვინია დელ მარის ტურნირზე ითამაშებს.

რიოსი პროფესიონალურ შეჯიბრებებში 2004 წლიდან არ მონაწილეობს — ტრავმებმა მაგრად შეაწუხა და აქტიურ სპორტს თავი დაანებებინა. ახლა კი ორგანიზატორებს ხათრი ვერ გაუტეხა და ვინია დელ მარში თამაშზე დათანხმდა. რიოსის გარდა ტურნირზე ადგილობრივთა კიდევ ორი კერპი — ფერნანდო გონსალესი და ნიკოლას მასუც ითამაშებენ.

„ამ ტურნირზე სამივე ეროვნულ გმირს ვნახავთ. ამაზე დიდებული რაღა უნდა ვაჩვენოთ ჩვენს გულშემატკივრებს. ერთად ადრეც უთამაშიათ, მაგრამ მაშინ მარსელო საუკეთესოთა შორის იყო, გონსალესი და მასუ კი კარიერას იწყებდნენ. ახლა ყველაფერი პირიქითაა — რიოსი არ თამაშობს, მისი თანამემამულეები კი პროგრესირებენ“ — აღფრთოვანებულია ტურნირის ორგანიზატორი ავერ ფილო.

შეგახსენებთ, რომ რიოსმა თავის დროზე ჩოგბურთის ისტორია გადაწერა. ის პირველი სამხრეთამერიკელი ჩოგნის მქნეველი იყო, ვინც რეიტინგს სათავეში მოექცა. გარდა ამისა, ის საერთოდ პირველი ჩოგბურთელია, ვინც მსოფლიოს პირველი ჩოგანი სლემტურნირის მოუგებლად გახდა.

**ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲫᲔ**



ველორბოლა




# ლენს არმსტრონგს ჰაკერობა ბრალდება

## დიდმა ჩემპიონმა სადამ ჰუსეინი მოიკითხა

ფრანგულმა Le Monde-მ „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის ტრიუმფატორს, ამერიკელ ლენს არმსტრონგს ჰაკერობაში დასდო ბრალი.

შეგახსენებთ, რომ ამ რამდენიმე კვირის წინათ უცნობმა ჰაკერმა შატენე-მალაბრის ანტისადოპინგო ლაბორატორიის კომპიუტერულ ქსელში შეაღწია და წლევანდელი „ტურის“ გამარჯვებულისა და შემდეგ დოპინგის მიღებაში მხილებული ფლოიდ ლენდისის დოსიე გახსნა. და აი, ფრანგულმა გაზეთმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ჰაკერი სხვა არავინ იყო, თუ არა ლენს არმსტრონგი.

„ლე მონდის“ არგუმენტები არმსტრონგის ყოფილი მეუღლის ბეტსი ენდრიუს სიტყვებზეა დაფუძნებული. „ლენსი ყოველთვის ცდილობდა, ეკონტროლებინა ყველაფერი, რაც მასა და მისი გუნდის სხვა წევრებს ეხებოდა. ერთხელ, როგორღაც, მე შევამჩნიე, რომ მავანი ჰაკერი ჩემს კომპიუტერში შეძვრა. როდესაც დაუპატიჟებელი სტუმრის მისამართი შევამოწმე, აღმოჩნდა, რომ ის არმსტრონგი იყო! რას ვიზამთ, ეს მის სტილშია: სურს, იცოდეს ყველაფერი, რაც ასე თუ ისე, მას უკავშირდება“ — განაცხადა ყოფილი ველოსიპედისტის ყოფილმა მეუღლემ და „ლე მონდმაც“ აიტაცა — კაცი ერთხელ რომ მიჰქარავს, მერე ამას თავს აღარ დაანებებსო.

რაღა თქმა უნდა, ფრანგული გაზეთის ასეთი განცხადების შემდეგ ჟურნალისტები უმალ დაუკავშირდნენ არმსტრონგს და საკუთარ სახლში, ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინში მყოფმა ლენსმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „ეს ყველაფერი სასაცილოა. იქნებ ვიღაცამ იმაშიც დამდოს ბრალი, რომ სადამ ჰუსეინს ვმალავდი და ჩემს რანჩოში ერაყის დიქტატორის ქიმიური იარაღის საწყობი იყო. აღალად რომ ვთქვათ, მე უკვე მომბეზრდა ასეთი ბრალდებები და აღარც მსურს ამ თემაზე ლაპარაკი.“







ამერიკის საუკეთესო მძლეოსნები: სანია რიჩარდსი და ჯერემი უორინერი

# ამერიკამ წრეს შემოურბინა

ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნობის ფედერაციამ ჯესი ოუენის პრიზის მფლობელები, ანუ წლის უძლიერესი მძლეოსანი ქალი და კაცი დაასახელა — სანია რიჩარდსი და ჯერემი უორინერი.

ლეგენდარული ამერიკელი მორბენალის სახელობის პრიზი ქვეყნის მძლეოსნობის მამებმა 1981 წლიდან დააწესეს და 1996 წლამდე მას ძირითადად ვაჟები იგებდნენ, რაკი ძლიერ და სუსტ სქესს შორის გაყოფილი არ იყო. ბოლო 10 წელი კი „ჯესი ოუენსს" ქალები და კაცები ცალ-ცალკე იღებენ.

წლეულს ლაურეატთა ამოცნობას დიდი მარჩიელობა და ფარდებს უკან ჩურჩული არ სჭირდებოდა, ისედაც ცხადი იყო, ვინ გახდებოდა ოფიციოზის რჩეული. 400 მეტრზე მორბენალმა ქალბატონმა, სანია რიჩარდსმა წლეულს ყველა ტურნირი მოიგო, რომელზეც ირბინა, მათ შორის ოქროს ლიგის ექვსივე გარბენი და კიდევ რამდენიმე გრან პრი. ორი კვირის წინ კი ის მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსან ქალადაც დაასახელეს.

ასევე ერთ წრეზე მორბენალი იქნა დასახელებული ამერიკის წლის მძლეოსან კაცად. ჯერემი უორინერს მსოფლიოს საუკეთესოდაც კი დაასახელებდნენ, ასაფა პაუელი რომ არა, რომელმაც ეს სეზონი ზღაპრულად და ფანტასტიკურად ჩაირბინა, მაგრამ როცა საქმე ამერიკელა შორის რჩეულის გამოვლენაზე მიდგა, აქ ტოლი არ ჰყოლია ანტილოპისფეხება უორინერს.

„იმ დროს ჩემზე ბედნიერი კაცი არ არსებობდა, როცა შევიტყვე, რომ ჯესი ოუენსის პრიზი მე შემხვდა" — ამბობს უორინერი, რომელსაც 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზეც უმარჯვია და 2005 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზეც, მაგრამ კარიერის საუკეთესო შედეგი წლეულს რომში აჩვენა — 400 მეტრი 43,62 წამში დაფარა და მსოფლიოს ყველა დროის მეოთხე შედეგი მიიწერა.

**ქოტე ყორშია**

### ჯესი ოუენსის პრიზის ყველა მფლობელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1981 | ედვინ მოზესი | 1988 | ფლორენს გრიფიტ ჯოინერი |
| 1982 | კარლ ლუისი | 1989 | როჯერ კინგდომი |
| 1983 | მარი დეკერი | 1990 | ლინ ჯენინგსი |
| 1984 | ჯოან ბენუა | 1991 | კარლ ლუისი |
| 1985 | ვილი ბანქსი | 1992 | კევინ იანგი |
| 1986 | ჯეკი ჯოინერ-კერსი | 1993 | გეილ დივერსი |
| 1987 | ჯეკი ჯოინერ-კერსი | 1994 | მაიკლ ჯონსონი |
| | | 1995 | მაიკლ ჯონსონი |

| | |
|---|---|
| 1996 | მაიკლ ჯონსონი, გეილ დივერსი |
| 1997 | ალენ ჯონსონი, მერიონ ჯონსი |
| 1998 | ჯონ გოდინა, მერიონ ჯონსი |
| 1999 | მორის გრინი, ინგერ მილერი |
| 2000 | ანჯელო ტეილორი, სტეისი დრაგილა |
| 2001 | ჯონ გოდინა, სტეისი დრაგილა |
| 2002 | ხალიდ ხანუჩი, მერიონ ჯონსი |
| 2003 | ტომ პაპასი, დინა კასტორი |
| 2004 | ჯასტინ გატლინი, ჯოანა ჰეიესი |
| 2005 | ჯასტინ გატლინი, ელისონ ფელიქსი |
| 2006 | ჯერემი უორინერი, სანია რიჩარდსი |



# სამუკაშვილი დანას ვერ ასცდა

საქართველოს ნაკრების უმსუბუქესი ძალოსანი ზვიად სამუკაშვილი საოპერაციოდ პოლონეთში მიემგზავრება. პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ეტაპზე ვანო გრიქუროვის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ლამის ორი თვეა, ტრავმირებულია. თავდაპირველი დასკვნით, მხრის ტრავმა ქირურგიული ჩარევის გარეშე უნდა მოშუშებულიყო, მაგრამ მედიკოსთა და ნაკრების თავკაცთა იმედი არ გამართლდა.

„მაქსიმალურად ვეცადეთ, სამუკაშვილი უოპერაციოდ მომჯობინებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, სარეაბილიტაციო პერიოდში გამოჩნდა, რომ ეს შეუძლებელია — გვითხრა გუშინ ოლიმპიური ნაკრების მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა — პოლონური ვარიანტიც შეგნებულად შევარჩიეთ. ოპერაციას ის პროფესორი ჩაატარებს, რომელმაც წლების წინ გიორგი ასანიძე დაგვიყენა ფეხზე."

რეკლამა სარბიელ-ში
38-11-14, 877 54 55 00



## რეგულარული ჩემპიონატი

28 ნოემბერი

**კაროლინა 1:4 ოტავა**
*1:1 0:2 0:1*
1:0 ლედი (3), 1:1 ივზი (7), 1:2 შუბერტი (25), 1:3 ფიშერი (31), 1:4 ჰილი (49)

**პიტსბურგი 3:2 აილენდერსი**
*1:1 1:1 1:0*
1:0 არმსტრონგი (2), 1:1 კოზლოვი (19), 1:2 ეშენი (25), 2:2 არმსტრონგი (32), 3:2 ტორბურნი (41)

**ტამპა 2:5 ვაშინგტონი**
*0:1 0:3 2:1*
0:1 ბიჩი (15), 0:2 გორდონი (22), 0:3 სიომინი (37), 0:4 კლარკი (39), 1:4 ტარნასკი (46), 2:4 ლეკავალიე (51), 2:5 ოვეჩკინი (59)

**ტორონტო 1:4 ბოსტონი**
*0:0 1:1 0:3*
0:1 დონოვანი (26), 1:1 ანტროპოვი (56), 1:2 მიურეი (46), 1:3 შტურმი (58), 1:4 ბოილი (60)

**სენტ ლუისი 0:2 სან ხოსე**
*0:1 0:1 0:0*
0:1 კლოუ (3), 0:2 პაველსკი (22)

**კალგარი 5:2 კოლორადო**
*1:0 3:0 1:2*
1:0 იჯინლა (15), 2:0 ფანეფი (24), 3:0 ლომბარდი (25), 4:0 ჰამრლიკი (36), 4:1 შჩასტნი (41), 5:1 ტანგეი (45), 5:2 ვოლსკი (46)

**ედმონტონი 2:3 ანაჰაიმი**
*1:0 1:1 0:1 0:1 (ოვერტაიმი)*
1:0 რიზონერი (8), 2:0 სმითი (26), 2:1 სელიანე (33), 2:2 კუნიტცი (60), 2:3 გეტცლაფი (63)

**ვანკუვერი 1:0 კოლუმბუსი**
*0:0 1:0 0:0*
1:0 ნესლუნდი (29)

**რეინჯერსი 4:5 ოტავა**
*1:0 2:2 1:2 0:1 (ოვერტაიმი)*
1:0 ჰოლი (20), 1:1 ლარსენი (23), 2:1 ჰოლი (28), 3:1 სტრაკა (30), 3:2 ჰოსა (39), 3:3 სლეიტერი (48), 3:4 ჰოლიკი (50), 4:4 ნიულანდერი (58), 4:5 ჰოლიკი (63)

**მონრეალი 1:0 ფლორიდა**
*0:0 0:0 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)*

# ოლაფის ალაფი
## კოლციგმა ელვა დააბნელა

ტრავმით გამოწვეული სამმატჩიანი იძულებითი შესვენების შემდეგ სიდნი კროსბი ყინულს დაუბრუნდა და თავის „პინგვინებს" 3:2 დაამარცხებინა „ნიუ იორკ აილენდერსი". 19 წლის ვუნდერკინდს ამჯერად გოლი არ გაუტანია, მაგრამ ორი შედეგიანი პასი გააკეთა და საამსეზონო მოგანარი 32 (10+22) ქულამდე აიყვანა.

შეგახსენებთ, რომ კროსბი 2004 წლის დრაფტის პირველი ნომერია და ოდენ მეორე სეზონს ატარებს ლიგაში. კროსბის გარდა „პიტსბურგში" დრაფტის კიდევ ერთი პირველი ნომერი, 2001 წლის რჩეული მარკ-ანდრე ფლერი ირიცხება და „კუნძულელებთან" მატჩში მანაც გამოიჩინა თავი — სტუმართა 35 დარტყმიდან 33 მოიგერია.

მეკარეებზე ჩამოვარდა სიტყვა და სამშაბათს, მართლაც რომ გოლკიპერთა ბენეფისი იყო — ერთბაშად ოთხმა მათგანმა ჩაატარა მშრალი მატჩი, თუმცა ამ, შათაუტებიან ხალხზე მეტად ვაშინგტონელთა გერმანელმა კარის დარაჯმა ოლაფ კოლციგმა ივარგმა, რომელმაც ტამპელი „ელვების" 48(!) დარტყმა უვნებელჰყო და ლომის წილი დაიდო თავისიანთა გამარჯვებაში. ტამპელებმა ვაშინგტონელები 50:20 გადატყორცნეს და მესამე ოცწუთეულში, სულაც 25-ჯერ (!) გაუშვეს შაიბა კოლციგის კარის ჩარჩოში, მაგრამ გერმანელი კლდესავით იდგა და გამარჯვებაც „კეპიტალზს" დარჩა.

კრისტობალ იუე და ალექს ოულდიც ვახსენოთ. მონრეალისა და ფლორიდის მეკარეებმა მთელი მატჩი ისე ჩაატარეს, შემტევებს გოლი არ გაატანინეს და შეხვედრა 0:0 დასრულდა. ბულიტებში კი მაინც მასპინძლებმა ივარგეს და „კანადიენსმა" „პანტერები" ასელა დაამარცხეს.



ოლაფ კოლციგმა ტამპელები არ გაატარა

# ჯორჯის ხუთგირვანქიანი

ერთი მილიონი ოდენობის ხუთგირვანქიანი კუპიურა ამიერიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში იტრიალებს და ამ გზითაც შეახსენებს ხალხს, რომ იყო ასეთი გენიოსი — ჯორჯ ბესტი. ფული ოლსტერის ბანკმა ბესტის გარდაცვალების წლისთავზე დაბეჭდა.




AFP

# ალანის ფეხი




AFP

ფილადელფიელ კალათბურთელთა მრავალწლიანი ლიდერი ალან აივერსონი რომ ქუჩის ბიჭთა კულტურის კაცია და სხეულის უსვირინგო ნაწილები ძნელად მოეძებნება, ადრიდანვე ცნობილია. სანიმუშოდ კი მისი მარცხენა ფეხი ინებეთ.

# სოკერექს–ლაპარაკი

დუბაიში „სოკერექსის“ კონფერენცია მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ზეპ ბლატერიც იქაა. ამ კონფერენციაზე ფეხბურთისა და ბიზნესის ურთიერთობის მრავალ საჭირბოროტო საკითხს განიხილავენ.




AFP

# თოვლიანი თაჩდაუნი

სიეტლში თოვს. ბურთობა კი მაინც გახურებულა. მთელს დიდ თოვლიან ზედახორაში ის გამოდის, რომ გრინბეელი (ბურთით) ამან გრინი თაჩდაუნს უდებს მასპინძლებს.




AFP



AFP

# მთები და კაცი

შვეიცარიის ალპების სიდიადეში ფოტონამით გარინდული ავსტრიელი სტეფან ფალკეისი ათას რამეზე ჩაგვაფიქრებს. ისე კი, სნოუბორდის მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპი მიმდინარეობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge